ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 213 (20554) ✦ პარასკევი, 15 სექტემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

გავანხორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის გადაწყვეტილებები

ძიებისა და გარჯის შედეგი

ოზურგეთში თითქოს ყველა სოფელი ერთნაირად ლამაზია. ყველაფერს ატყვია გამრჯე ხელი, რომელმაც ხეხილი ახარა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები გააშენა, ვაზს მოუარა. მაგრამ მაინც სულ სხვაა ნატანები, ეს ერთ-ერთი დიდი და შეძლებული სოფელია, რომელიც ცნობილია გამრჯე ადამიანებითა და დოვლათით. დღეს ნატანები თავისი კულტურის კერებით, სკოლებითა და სკოლამდელი დაწესებულებებით, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით ზოგიერთ რაიონულ ცენტრსაც არ დაუდებს ტოლს.

დიახ, აქ მართლაც ყველაფერს ატყვია გამრჯე მარჯვენის მადლი, მაგრამ ნატანებლები მიღწეულს არ სჯერდებიან, დღენიადაგ ეძიებენ მისი განმტკიცებისა და ახალი წარმატებების მოპოვების საშუალებებს, ნერგავენ მუშაობის პროგრესულ ფორმებს. ამის დამადასტურებელი იყო თუნდაც სოფლის მშრომელთა დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 1987 წლის სექტემბრიდან ნატანების კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა აგროფირმა-კოლმეურნეობა „ნატანები“.

იგი იურიდიულად და ეკონომიკურად ერთიანი კოოპერაციულ-სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოა. მას შეუნარჩუნდა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებული ყველა უფლება და ზემდგომი სადირექტივო ორგანოების მიერ დამტკიცებული დებულებებით ხელმძღვანელობს. აგროფირმაში შემავალი დამამზადებელი, გადამამუშავებელი და სხვა საწარმოები ფირმის საწარმოო ქვედანაყოფებია და არ სარგებლობენ იურიდიული უფლებებით. ყველა რგოლის პროპორციული და შეთანასწორებული განვითარებით „ნატანები“ უზრუნველყოფს ნედლეულისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის მატებას და ხარისხის გაუმჯობესებას, დანაკარგების შემცირებას, ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვებას, ეკონომიკის განმტკიცებას და თვითდაფინანსებაზე გადასვლას.

აგროფირმა ყოველმხრივ ეხმარება და ხელს უწყობს სოფლის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარებაში. ყიდულობს მათგან ბოსტნეულს, ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, ციტრუსებს, ხილს, მეცხოველეობისა და სხვა პროდუქტებს. ამასთან იგი გლეხს უფასოდ აძლევს მინერალურ სასუქს, ტარა-მასალას, ტრანსპორტს პროდუქციის დამამზადებელ პუნქტამდე გადასაზიდად, შხამქიმიკატებით შეუწამლავს საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ ციტრუსებისა და ხილის ბაღებს და სხვა.

განვლილ პერიოდში აგროფირმამ ნაყოფიერი მუშაობა გასწია ჩაის პლანტაციების დაჩქარებული აღდგენისა და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა თაობაზე ცნობილი დადგენილების სრულყოფილად განხორციელებისათვის. გაისხლა 45 ჰექტარი ხანდაზმული და მცირემოსავლიანი ჩაის პლანტაცია. ბუჩქებში შეიტანეს 6.000 ტონაზე მეტი ტორფკომპოსტი, რეკონსტრუირებულია და ახალი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა მეთაური ჩაის ფაბრიკა, მოეწყო შავი ბაიხაო ჩაის დასაფასოებელი და გრანულირებული ჩაის დასამზადებელი საამქროები. წლეულს „ნატანებმა“ 1000 ტონა დაფასოებული და 300 ტონა გრანულირებული ჩაი უნდა მიაწოდოს ქვეყნის მშრომელებს. მათი ნაწილი უკვე მიიღო მომხმარებელმა, ნაწილი კი სეზონის ბოლომდე გაიგზავნება. მომხმარებელს მიღებულ პროდუქციაზე პრეტენზია არ განუცხადებია.

ისიც აღსანიშნავია, რომ გრანულირებული ჩაის გამოშვებით შესაძლებელი გახდა ფაბრიკების (ფირმას ორი ფაბრიკა აქვს) უნარჩენო წარმოებაზე გადაყვანა, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სასაქონლო პროდუქციის მოცულობა. 6 პროცენტით და მეტად გაიზარდა მაღალხარისხოვანი ნაწარმის ხვედრითი წილი საერთო პროდუქციაში. უნარჩენო კომპლექსური ტექნოლოგიის დანერგვით მიღებულია დიდძალი მოგება.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების დანერგვას. ყველა დარგში მოქმედებს ოჯახური და ინდივიდუალური იჯარა. შრომის ანაზღაურება კი წარმოებული ნედლეულის, პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით ხდება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საზოგადოებრივ სექტორში პროდუქციის წარმოების უპირატეს ზრდას საკარმიდამო მეურნეობების ინტერესის შეუზღუდავად. ამის შედეგად ფირმის საზოგადოებრივი სექტორის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა და პირველი ხარისხის ნაწარმის ხვედრითი წილი უსწრებს საკარმიდამო მეურნეობების შესაბამის მაჩვენებლებს.

მომთაბარე ფერმის სანარდო იჯარაზე გადაყვანით წინა წლებთან შედარებით თითქმის სამჯერ შემცირდა ხორცის წარმოებისათვის გაწეული დანახარჯი. გამოყენებულ მიკრონაკვეთებზე იჯარული წესით შენდება მრავალწლიანი ნარგავები. სრულ სამეურნეო ანგარიშზეა გადაყვანილი ყველა ბრიგადა, სამრეწველო საწარმო, მეცხოველეობის ფერმები და სხვა მომსახურე დარგები. შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს შიდა კოოპერატივი „ნარინჯი“, რომელშიაც შედის ფერმა, მინდორი, მექანიზაციისა და მცენარეთა დაცვის განყოფილება. ამ დარგში მომუშავეთა ხელფასი დამოკიდებულია მიღებული პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაზე. კოოპერატივს ძირეულ რგოლში ინტეგრაციის გაღრმავების ფართო გასაქანი მიეცა.

1988 წლის ოქტომბერში შეიქმნა მეთევზეობის სანარდო ბრიგადა. მდინარე ნატანებსა და შავ ზღვაში თევზის რეწვით ბრიგადამ 7 ათას მანეთზე მეტი მოგება მიიღო. წლის შედეგები გაცილებით უკეთესი იქნება, რადგან წარმატებით შესრულდა შვიდი თვის დავალებები. სათანადო ყურადღება დაეთმო სხვა სამრეწველო საწარმოებისა და მომსახურე დარგების განვითარებასაც. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებამდე კაპიტალურად შეკეთდა ჩაის მიკროფაბრიკა, ხილისა და ციტრუსების საფუთავი ქარხანა. ფურნეში დამონტაჟდა თანამედროვე მანქანა-დანადგარები. ხილისა და ციტრუსების საფუთავმა ქარხანამ შარშან უზრუნველყო 13 ათასი ტონა ციტრუსის და 1500 ტონა ხილის მიღება-რეალიზაცია, ხოლო ფურნე დღე-ღამეში 4 ტონა ხარისხოვან პურს აწვდის მოსახლეობას.

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ღონისძიებების შედეგად 1987 წელთან შედარებით შარშან კოლმეურნეობა-აგროფირმა „ნატანებმა“ მთლიანი პროდუქციის წარმოება გაზარდა ორჯერ, შრომის ნაყოფიერება — 24 პროცენტით, ხოლო ანაზღაურება — 20 პროცენტით. რენტაბელობა 20-დან 32,4 პროცენტამდე, წმინდა მოგება კი 1.500 ათასი მანეთიდან 4.547 ათას მანეთამდე გაიზარდა.

მოგების თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ დაზღვევას, სოცუზრუნველყოფას, აგროსამრეწველო გაერთიანებას, სხვადასხვა ნებაყოფლობით ორგანიზაციას და ქალაქის საბჭოს ჩაერიცხა 1.825 ათასი მანეთი, რაც 800 ათასი მანეთით აღემატება 1987 წელს ჩარიცხულს. წახალისების ფონდი გაიზარდა 658 ათასი მანეთით, კულტსაყოფაცხოვრებო ღონისძიების ფონდი — 373 ათასი მანეთით, ხოლო კაპიტალური მშენებლობისა — 1.618 ათასი მანეთით.

ეკონომიკის განმტკიცებამ აგროფირმას საშუალება მისცა დაეწყო სამეურნეო და კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ჩაის ფაბრიკებისა და სოფლის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის. სოფლის ცენტრში მდებარე საბავშვო ბაღში დაამონტაჟეს ჰელიოდანადგარები, რომელიც მზის ენერგიით ათბობს წყალს. ბაღის კეთილმოწყობილ აბაზანაში 200 ბავშვი ყოველდღიურად იკაჟებს სხეულს თბილი წყლის პროცედურებით. ჰელიოდანადგარების შეძენა და დამონტაჟება 45 ათასი მანეთი დაჯდა. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის 25-საწოლიანი ახალი კორპუსი, საბავშვო ბაღის შენობა მეთაურ ჩაის ფაბრიკაში, სამრეცხაო სალონი სოფლის ცენტრში. მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო კომბინატის და სოფლის ცენტრში განლაგებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების კაპიტალური რემონტი, რასაც 300 ათასი მანეთი მოხმარდება. ორ საწარმოო ბრიგადაში შენდება სპორტმოედანი, მთავრდება რიგით მეოთხე აბანოს მშენებლობა, გაგრძელდება სოსისის საამქროს, სამი თონის, დასვენების კერებისა და სხვათა მშენებლობები.

„ნატანების“ შემოსავალმა შარშან 19 მილიონ მანეთს მიაღწია და, როგორც აღვნიშნეთ, ბევრი რამეც გაკეთდა და კეთდება მშრომელთა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. წლეულს უფრო მეტ შემოსავალს ელიან. ჩაის ფოთლის კრეფა და საკვების დამზადება კარგად მიმდინარეობს, საგეგმო დავალებები წარმატებით სრულდება. აგროფირმის შემოსავლის ძირითადი წყაროა ჩაის კულტურა. მეჩაიეები თავდადებით შრომობენ და წარმატებებიც აქვთ. მათი შვილებისათვის დამატებით გაიხსნა 6 სეზონური საბავშვო ბაღი. ყოველ ჯგუფში 30-40 ბავშვია, რომელთა კვების ხარჯები, ისევე, როგორც აღმზრდელთა შრომის ანაზღაურება, კოლმეურნეობა-აგროფირმამ იკისრა. სეზონური საბავშვო ბაღები აქ შარშანაც იყო, მაგრამ წელს უფრო მეტია. ბავშვთა კვებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრებიც ბევრად გაიზარდა. ასეთი ბაღები სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების დროსაც მუშაობენ....

ის, რაც ნატანებში ამ ბოლო ხანს გაკეთდა და წარმატებითაც გრძელდება, ჭეშმარიტად სანაქებო და მისაბაძია. ეს ყოველივე გონივრული შრომით არის მიღწეული, რისთვისაც ნატანებლებს წლების განმავლობაში საქმის ცოდნით რაზმავს სოციალისტური შრომის გმირი გივი წითლიძე.

„ნატანების“ მუშაობის გამოცდილებამ დაამტკიცა შრომის ორგანიზაციის ამ პროგრესული ფორმის უპირატესობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

მოდით და ნახეთ კოლმეურნეობა-აგროფირმა „ნატანები“

გიორგი ნოდია,
ბეგლარ ჩხაიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ვიზიტი დამთავრდა

12 სექტემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუხარტო. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა ინდონეზიელი სტუმრის გაცილების ოფიციალური ცერემონია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი და რ. მ. გორბაჩოვა გულთბილად გამოეთხოვნენ ინდონეზიის პრეზიდენტსა და მის მეუღლეს.

• • •

იმავე დღეს სუხარტომ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი გვირგვინით შეამკო. გვირგვინით შეამკო აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

• • •

ინდონეზიის პრეზიდენტმა დაათვალიერა სსრ კავშირის ალმასის ფონდის ექსპოზიცია, იყო მოსკოვის სახელმწიფო ცხენსაშენში.

სტუმართან ერთად იყო მ. ი. იბრაგიმოვი.

• • •

აეროდრომზე სტუმარი და მისი მეუღლე გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ი. იბრაგიმოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ა. ვორონინმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდესი).

აღვადგინოთ ურთიერთმოქმედების კეთილი ტრადიციები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუმბარიძემ მიიღო რესპუბლიკაში მყოფი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ლიზიჩევი.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საჭიროა აღდგეს და განმტკიცდეს არმიელი კომუნისტებისა და და რესპუბლიკის პარტორგანიზაციის კავშირ-ურთიერთობა, კონტაქტებისა და ურთიერთმოქმედების კეთილი ტრადიციები. ამაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის ინფორმირება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში მომსახურე არმიის კოლექტივების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, რომელთა პირადი შემადგენლობა დიდ ინტერესს იჩენს რესპუბლიკის ცხოვრებისადმი, წარმატებებისა და გარდაქმნის დროს წარმოქმნილი სიძნელეებისადმი, მისი განხორციელებისათვის კონკრეტული მუშაობისადმი. სასურველია, რომ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა, შემოქმედებითი ინტელიგენციის, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები უფრო ხშირად მიდიოდნენ ჯარის ნაწილებში, ამყარებდნენ კონტაქტებს.

სერიოზული შეშფოთება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ ხანს გახშირდა რესპუბლიკიდან გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეთა დაღუპვის შემთხვევები, რაც მოითხოვს დამყარდეს სათანადო წესრიგი, განმტკიცდეს დისციპლინა ჯარებში, განსაკუთრებით სამხედრო-სამშენებლო ნაწილებში. ა. ლიზიჩევი შეჰპირდა, რომ გაერკვევა ყველა ამ საკითხში და მიიღებს კონკრეტულ ზომებს.

შეხვედრის დროს გამოითქვა სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტმა საქართველოდან გაწვეულმა იმსახუროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად, საჯარისო ნაწილებში, რომლებშიც საქართველოს სს რესპუბლიკიდან გაწვეული ჭაბუკები მსახურობენ, იგზავნებიან რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების დელეგაციები იმ მიზნით, რომ დაამყარონ მუდმივი სამხედრო-საშეფო ურთიერთობა, რაც, უეჭველად, ხელს შეუწყობს არა მარტო საქართველოდან გაწვეულთა, არამედ იმ საჯარისო ქვეგანაყოფების მთელი პირადი შემადგენლობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესებას, სადაც ისინი ნამდვილ სამხედრო სამსახურს გადიან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ნ. ჭითანავა, ა. პავშენცევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფოსამართლებრივი განყოფილების გამგე ო. გონაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. პატრიკეევი, სამხრეთის მიმართულების ჯარების სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ოვჩინიკოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ნოვიკოვი.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 12 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოიწონა პირველი რიგის ღონისძიებანი ცენტრალური ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლასთან დაკავშირებით. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სახელმწიფო, შრომის, საწარმოო, სახელშეკრულებო დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების აუცილებლობას, დემოკრატიზმისა და საჯაროობის შემდგომ გაღრმავებას, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განვითარების დაჩქარებას.

განიხილეს საკითხი აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის უზრუნველყოფისათვის პარტიის გურჯაანისა და ხობის რაიკომების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაიზარდოს უკუგება აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის შედეგად და ამ საფუძველზე უზრუნველყოფილი იყოს სასურსათო ფონდის მკვეთრი ზრდა. პარტიის რაიკომებს დაევალათ გააძლიერონ პოლიტიკური მუშაობა ამ მიმართულებით, შეიმუშაონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის კომპლექსური პროგრამები არა მარტო მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსისათვის, არამედ მისი წამყვანი დარგებისთვისაც, დღენიადაგ ეძებონ ახალი გზები და მიდგომები მეცნიერებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას შორის კავშირის განმტკიცებისათვის, ამასთან ამ მიზნით გამოიყენონ რესპუბლიკაში მიმდინარე მრავალრიცხოვანი ეკონომიკური ექსპერიმენტების შედეგები. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

განიხილეს საკითხი რესპუბლიკაში სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ. განხილვის მსვლელობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ ხანძრების თავიდან აცილების, პროფილაქტიკისათვის მუშაობა სოციალისტური საკუთრების დაცულობისათვის ბრძოლის განუყოფელი ნაწილია. მოიყვანეს ხელმიშვებულობის, არაორგანიზებულობის, დამტაცებელთა ნებაზე მიშვებისა და დაუსჯელობის მაგალითები, რომლებიც არცთუ იშვიათად ცდილობენ ხანძრების ცეცხლში დაფარონ დატაცებათა, სახალხო დოვლათის მითვისების, უყაირათობისა და მფლანგველობის კვალი. ამის გათვალისწინებით, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოითხოვა გაიზარდოს პარტიული კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა, პარტიული, სახელმწიფო, შრომის, ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცება, სახალხო-სამეურნეო ობიექტებზე, საცხოვრებელ სექტორში, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დატაცებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დატაცებისა და ხანძრებისაგან მატერიალურ ფასეულობათა დაცვა, პრინციპული რეაგირება ხანძრის თითოეულ შემთხვევაზე. გამოითქვა სერიოზული შეშფოთება ცეკავშირის სისტემაში უაღრესად არასასიკეთო მდგომარეობის გამო, სადაც მრავალი ხანძარი დაკავშირებულია დატაცებებთან. ხანძრების შედეგად ზარალმა აქ მიმდინარე წელს შეადგინა 1,2 მილიონ მანეთზე მეტი, რაც უდრის 1989 წელს ხანძრების შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის მთელი თანხის თითქმის 40 პროცენტს.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ცნეს შეისწავლონ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში კოოპერაციული საკუთრების დაცულობის მდგომარეობა. განსაკუთრებით გაესვა ხაზი სამართალდამცავი ორგანოების როლს, რომლებიც მოვალენი არიან გულმოდგინედ გამოიძიონ თითოეული ხანძარი, დაადგინონ მისი წარმოშობის სრული სურათი, მიზეზები და პასუხისგებაში მისცენ ბრალეულნი. უფრო აქტიურად უნდა აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი სახანძრო დაცვის ორგანოებისა და ქვეგანაყოფების საქმიანობაშიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური სწავლების სისტემაში 1989-90 სასწავლო წლის ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ გადავიდნენ პარტიის თეორიისა და პოლიტიკის მწვავე პრობლემათა შესწავლაზე, დააკმაყოფილონ მსმენელთა სურვილი, განიხილონ მეცადინეობაზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის, ეკოლოგიის, შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციის, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, შრომითი კოლექტივების ზნეობრივი გაჯანსაღებისა და სხვა ყველაზე აქტუალური საკითხები; უფრო გაბედულად [illegible], რომლებიც საშუალებას იძლევა სწრაფი რეაგირება მოახდინონ იმ მწვავე პრობლემებსა და საკითხებზე, რომლებიც ადამიანებს აღელვებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივნის შ. ა. ნათელაშვილის ანგარიში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო ზედამხედველობის როლის გაძლიერების თაობაზე პარტიის მოთხოვნათა რეალიზაციისათვის გაწეული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს რესპუბლიკის პროკურატურაში აღებულია ახალგაზრდა, ინიციატივიანი კადრების დაწინაურების სწორი კურსი, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება შარშან არჩეული აპარატის პარტკომის მდივანიც.

საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიული კომიტეტისა და ხელმძღვანელობის აქტიური თანამოქმედებით კოლექტივში მტკიცდება თანამშრომლობა ურთიერთმომთხოვნელობისა და ურთიერთდახმარების ატმოსფერო, მხარს უჭერენ აპარატის საქმიანობის სრულყოფის აქტუალური პრობლემების გადაჭრისადმი ინიციატივიან, პრინციპულ და შემოქმედებითს მიდგომას. რეგულარულად ისმენენ კომუნისტების ანგარიშებს, ახორციელებენ ღონისძიებებს საჯაროობის გაფართოებისა და პარტიული კონტროლის ეფექტიანობის ზრდისათვის, პარტიული კომიტეტის მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნისათვის.

ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, საერთოდ მოიწონა რა შ. ა. ნათელაშვილის ენერგიული, ინიციატივიანი და შეტევითი პოზიცია, პარტიულ კომიტეტს ურჩია გააძლიეროს მუშაობა საპროკურორო ზედამხედველობის როლის ზრდის, ადამიანებისადმი, მათი განცხადებებისა და საჩივრებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულების შესახებ პარტიის მოთხოვნათა რეალიზაციისათვის, განაგრძოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების საქმიანობისადმი, მისი რიგების სიწმინდისათვის ბრძოლისადმი ახალი მიდგომებისა და ფორმების ძიება და დანერგვა.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომაზე განიხილეს ზოგიერთი საკადრო საკითხი. განიხილეს აგრეთვე საკითხი 30-იან წლებში რეპრესირებული მთელი რიგი პირების პარტიული რეაბილიტაციის შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხზეც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეტი ზრუნვა და ყურადღება პენსიონერებსა და ინვალიდებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა სკკპ წევრის ვ. ი. კაჭარავას — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სისტემაში მუშაობა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მოთხოვნებისა და „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის მუშაობის გასაუმჯობესებლად პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 18 იანვრის დადგენილების მიხედვით ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

აღინიშნა, რომ სამინისტროს სისტემაში შეიმჩნევა ერთგვარი პოზიტიური ძვრები მუშაობაში, რომლის მიზანია მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის, უსულგულო დამოკიდებულების დაძლევა, საპენსიო და სხვა სახეობათა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

ამასთანავე სამინისტროს აპარატისა და მისი ადგილობრივი ქვეგანაყოფების მუშაობაში გარდაქმნის პირობებში გამწვავდა გადასაჭრელი პრობლემები და საკითხები, რომლებიც მოწმობს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს რესპუბლიკის მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა საქმის გაჭიანურება, პენსიონერთა მოთხოვნილებებისადმი უგულო დამოკიდებულება, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების შელახვა, არის სოციალური უსამართლობის ფაქტები, რაც იწვევს მშრომელთა საყვედურებს, ზოგ შემთხვევაში კი აღშფოთებასაც, ვაწყდებით ფულის გამოძალვის ფაქტებს. ბიუროკრატიზმთან ბრძოლას არა აქვს საკმაოდ მიზანსწრაფვული და სისტემატური ხასიათი, ყოველთვის არ ისახავს მიზნად მისი წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრას.

ნაკლოვანებების ხარვეზებისა და პრობლემების რეალურ სურათს ასახავს მოქალაქეთა წერილობითი მიმართვები და სოციოლოგიურ გამოკვლევათა შედეგები, რომლებიც ამა წლის მაის-ივნისში მოაწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა. მატულობს საჩივრების, მათ შორის განმეორებითი საჩივრების რიცხვი. მოქალაქენი უჩივიან საქმის გაჭიანურებას, არაობიექტურობას, ტენდენციურობას ადგილებზე მათი მიმართვების განხილვისას. არის სხვადასხვაგვარ დარღვევათა მრავალრიცხოვანი ფაქტები სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების საქმიანობის ისეთ ძირითად მიმართულებაზე, როგორიც პენსიებისა და დახმარების დანიშვნა და გაცემაა.

ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ფაქტების გამოვლენას ხელს უწყობს აპარატში და ადგილებზე შრომის, საშემსრულებლო დისციპლინის შესუსტება, აგრეთვე მუშაკთა არაკომპეტენტურობა, დაუდევრობა. სერიოზული შეცდომები და დარღვევები გამოვლინდა ქარელის, წალკის, სიღნაღის, ქ. თბილისის საქარხნო, ჩოხატაურის, სოხუმის რაიონული და საქალაქო სოცუზრუნველყოფის განყოფილებების, ქალაქების ფოთის, ბათუმის, ქუთაისის საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობაში, ცხინვალის, თერჯოლის სახლ-ინტერნატებში, პანსიონატ „კახეთში“ მცხოვრებთა მომსახურების ორგანიზაციაში და სხვ. არის გარდაცვლილი პენსიონერებისათვის პენსიების გადარიცხვის საერთოდ ზედმეტი დარიცხვის მრავალრიცხოვანი შემთხვევები. პენსიების მნიშვნელოვანი მეტგადანახადის მიზეზი აგრეთვე პენსიონერთა მუშაობის ადგილას საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის უპასუხისმგებლობაა.

სოციალური სამართლიანობის პრინციპებს და პენსიონერთა უფლებების უფრო სრული რეალიზაციის ინტერესებს არ შეესაბამება არც სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარიულ-საკურორტო მომსახურება. არ არის ჯეროვანი კოორდინაცია რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი ორგანოების საქმიანობაში მარტოხელა ხანდაზმული მოქალაქეებისათვის, ომის ვეტერანებისა და ინვალიდებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის, მედიკამენტებით მომარაგების თვალსაზრისით. მთლიანად ვერ ამართლებს დანიშნულებას საგზურების აღრიცხვისა და განაწილების არსებული მექანიზმიც.

არ არის ჯეროვანი კონტაქტები საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, ცეკავშირთან მაღაზიების სპეციალური ქსელის მომარაგების მოგვარების ნაწილში. ხშირად დადგენილი ასორტიმენტის კვების პროდუქტებით ვერ უზრუნველყოფენ სახლ-ინტერნატებსა და პანსიონატებს.

გადასასინჯია პენსიონერებისა და ინვალიდებისათვის უფასოდ ან სრული ღირებულებით ავტომობილების მიცემის წესი. ნორმალურად ვერ ჩავთვლით ისეთ მდგომარეობას, როცა სრული ღირებულებით ავტომობილების მიღების სიაში ასობით პენსიონერია შეტანილი, და ზოგიერთი უკვე ათეული წლებია რიგში დგას.

ბოლომდე არ არის დახვეწილი ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან და ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თანამოქმედების მე-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაერთიანდეს მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოები ერთ საბჭოდ — მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოდ, და ქალაქი მარნეული გარდაიქმნას რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

2. მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდეთ უფლებამოსილებანი მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1989 წლის 12 სექტემბერი.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

14 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ მიიღო რესპუბლიკაში მყოფი ბელგიის სამეფოს ვალონიის რეგიონის სამეცნიერო-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ვალონიის აღმასრულებელი ორგანოს მინისტრი ალბერტ ლიენარი.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის ახალმა მიდგომამ უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრული და საქმიანი კონტაქტების განვითარებისადმი, ახალი აზროვნების პოლიტიკამ ფართო ასპარეზი გადაუშალეს ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში ურთიერთხელსაყრელ საქმიან თანამშრომლობას.

კმაყოფილებით ითქვა, რომ განზრახულია უახლოეს მომავალში ხელი მოაწერონ საქართველოს სს რესპუბლიკისა და ბელგიის ვალონიის რეგიონის პარტნიორობის ხელშეკრულებას. მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორივე მხარის ეკონომიკაში, იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ხალხთა მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების გზაზე. მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაიწყო. მიღწეულია მორიგება ვალონიის საქმიან წრეებსა და საქართველოს სსრ სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას შორის სახალხო მეურნეობისა და მეცნიერების პრიორიტეტულ დარგებში თანამშრომლობის შესახებ. გამოითქვა რწმენა, რომ ეს თანამშრომლობა ურთიერთხელსაყრელი იქნება, ნიადაგ გაფართოვდება და გაღრმავდება.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. ჯავახიშვილი.

იმავე დღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ვ. ქვილითაიამ და ალბერტ ლიენარმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას საქართველოს სს რესპუბლიკისა და ბელგიის სამეფოს ვალონიის რეგიონის თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ცენტრალური კომიტეტის აგრარული განყოფილების გამგედ დამტკიცებულია

დავით თენგიზის ძე სავანელი

დავით თენგიზის ძე სავანელი, დაბადებულია 1941 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1975 წლიდან, დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა დ. თ. სავანელმა დაიწყო 1958 წელს საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშად. 1959 წლიდან იგი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია. სწავლას უხამებდა მუშაობას წარმოებაში. სწავლის დამთავრების შემდეგ ინსტიტუტში დატოვეს უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. შემდეგ მუშაობდა „საქსახმიწპროექტის“ ინსტიტუტის უფროს აგრონომად. 1970-1976 წლებში იგი ხილბოსტნეულის დამზადების სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორი, უფროსის მოადგილე, შემდეგ — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსპექტორი, განყოფილების გამგის მოადგილეა.

1983 წლიდან დ. თ. სავანელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატშია. იყო სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორი, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე. 1985 წელს აირჩიეს საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად.

ცოლიანია, ჰყავს ორი შვილი.

მეტი ზრუნვა და ყურადღება პენსიონერებსა და ინვალიდებს

(დასასრული)

ქანიზმი. ამის შედეგად სრულად ვერ იყენებენ მთელ რიგ სოციალურ სიკეთეებს, რომლებიც პენსიონერებისა და ინვალიდი ბავშვებისათვის ნორმატიული აქტებით არის გათვალისწინებული.

რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ ხორციელდება დირექტიული ორგანოების გადაწყვეტილებანი პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის ოპტიმალური გამოყენებისათვის სპეციალიზებული წარმოებების, საამქროების, უბნების შექმნის შესახებ. ეს შეეხება საქართველოს სსრ მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს. ფართო გამოყენებას ვერ პოულობს შინ შრომის შესაძლებლობანი, რომლის ორგანიზაციული საფუძველი შეიძლება გამხდარიყო თბილისის შინ შრომის კომბინატი „შრომა".

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ვერ წყვეტს მთელ რიგ არსებითს საკითხებს, რომლებიც შეეხება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობას. სრული მოცულობით ვერ ხორციელდება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიც არის თავიანთივე რეკომენდაციების დაცვისადმი კონტროლი, რომლებიც ითვალისწინებს შრომის შესაბამისი პირობების შექმნას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოებში მომუშავე ინვალიდი პენსიონერებისათვის.

სამინისტროს სისტემაში დაბალია უმაღლესი იურიდიული და ეკონომიკური განათლების მქონე სპეციალისტთა ხვედრითი წილი. ჯერ კიდევ იგრძნობა, რომ არ არსებობს სათანადო კომპეტენტურობა, ინიციატივა, პრინციპულობა და მომთხოვნელობა სამინისტროს ძირეული რგოლების მუშაობაში.

არსებული ნაკლოვანებანი ბევრად აიხსნება აპარატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დაბალი დონითაც, რომელიც საკმარისად ვერ რაზმავს მუშაკებს მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. პარტიული ბიურო სუსტად იყენებს კონტროლის უფლებას, საკმარისად არ ამაღლებს კომუნისტთა პასუხისმგებლობას მინდობილი უბნის მუშაობისათვის.

ჯეროვანი კონტაქტები არ არსებობს სამინისტროს, მის ადგილობრივ ქვეგანაყოფებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის. არასრულად, ხშირად ცალმხრივად აისახება მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის სხვადასხვა სფეროს პრობლემები, რაც ხელს არ უწყობს მათ გადაჭრას, მათთვის რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სკპ წევრის, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ვ. ი. კაჭარავას ანგარიში ცნობად მიიღო, ხოლო მუშაობა, რომელსაც ეწევიან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, მისი ადგილობრივი ქვეგანაყოფები მოქალაქეთა საპენსიო და სხვა სახეობათა სოციალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად და ბიუროკრატიზმთან და ფორმალიზმთან ბრძოლის გასაძლიერებლად, არასაკმარისად მიიჩნია.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, მის ქვეგანაყოფებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ საფუძვლიანად და თვითკრიტიკულად გააანალიზონ სისტემის მდგომარეობა და მისი საქმიანობის გარდაქმნის ღონისძიებათა ქმედითობა, მტკიცედ იბრძოლონ მოქალაქეთა სოციალური გარანტიების სრული რეალიზაციისათვის, რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში სოციალური უსამართლობის, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ფაქტების აღმოფხვრისათვის, მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უსულგულო, გულგრილი დამოკიდებულების, მათი უფლებებისა და ინტერესების შელახვის დაძლევისათვის.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს რეკომენდაცია ეძლევათ განიხილონ სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობის მდგომარეობის საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნეგატიურ გამოვლინებათა დაძლევაში პრაქტიკული დახმარების გაწევისათვის, პენსიონერთა სოციალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება ეძლევა დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით განიხილონ ამხ. კაჭარავას ანგარიშში წამოყენებული საკითხები და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის და გადაწყვიტონ ამ სამინისტროს სისტემაში ინვალიდების პროფესიული სწავლების ბაზების აღდგენის, მისთვის ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში სასწავლო წარმოებათა დაბრუნების საკითხი.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებანი რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განკარგულებაში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს ზოგიერთი ობიექტის გადაცემის შესაძლებლობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანიც პენსიონერთა, ინვალიდთა და ხელმოკლე ოჯახების წევრთა სოციალური დაცვის განმტკიცებისათვის, მათი კეთილდღეობისა და მატერიალური უზრუნველყოფის დონის ამაღლებისათვის; პენსიონერთა და ინვალიდთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურებისა და ფორმალიზმის გამოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

(საქინფორმი).

ვარძიისაკენ მიმართული სიცოცხლე

ახალქალაქის რაიონში აჭარიდან გადმოსახლებულთათვის ბინების მშენებლობის საქმის ვითარება დღეობით კი არა, საათობით იცვლება, ისე, როგორც შემოდგომის ამინდი. სულ ერთი წუთის წინათ მზე მცხუნვარედ აფრქვევდა სხივებს და უცებ, ღმერთმა უწყის საიდან, ცივი წვიმა მოვიდა. ვერც კი მოასწრო ქარით დაყენებული კორიანტელის დანავლა, რომ კვლავ მზემ გამოაჭყიტა.

ალბათ, ესოდენ სერიოზულ საუბარში არ გაგვახსენდებოდა ბუნების ეს ჭირვეულობა, რომ ამას უშუალო კავშირი არ ჰქონოდა მშენებლობის ტემპთან. მისი დაწყებიდან დაახლოებით ორი თვის წინათ — ბულდოზერისტებმა, მექსკავატორეებმა, მემონტაჟეებმა, კალატოზებმა, მებეტონეებმა, მომპირკეთებლებმა, გზის მუშაკებმა, სხვა პროფესიების წარმომადგენლებმა დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს. პირველ თოვლამდე დარჩენილი დრო კი მეტად მოკლეა, უფრო მეტი უნდა გაკეთდეს.

სოფლები, უფრო სწორად ძველი ხუროთმოძღვრების მიერ სამარადჟამოდ აგებული სოფლების ახალი უბნები თანამედროვე კონტურებს იძენს. ისევე, როგორც ოდესღაც, ყველაფერი აქ, მიმართულია დიადი ვარძიისაკენ.

ძირითადად „საქსახსოფლმშენის" და „საქსახაგრომრეწვმშენის" ინსტიტუტებში შემუშავებული პროექტებით ნათელ, ვრცელ ორსართულიან ბინებს აშენებენ სამშენებლო სამმართველოები „საქმრეწვსამოქალაქომშენი", „საქაგრომშენი", „ამიერკავკასიატრანსმშენი", „კავკასგვირაბმშენი", „თბილისგვირაბმშენი", ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების, საავტომობილო ტრანსპორტის და გზების სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქმშენმასალების", ცეკავშირის, რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა სამინისტროების, კომიტეტებისა და უწყებების ქვეგანაყოფებთან მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობით. მათ გვერდით შრომობენ უმაღლესი სასწავლებლების სამშენებლო რაზმების წევრები, მოხალისენი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთაგან, თვით მომავალი ახალმოსახლენი — ისინი, ვინც დაკარგა სახლ-კარი ხულოსა და შუახევის რაიონებში დამანგრეველი მეწყრების გამო.

მეზობლურად, ერთმანეთის უკითხავად, ვისაც როგორ შეუძლია, მაგრამ სულითა და გულით ეხმარებიან მშენებლებს ადგილობრივი მცხოვრებნი, მათაც ცოტა დრო დარჩათ. ეს-ეს არის დაამთავრეს პურეულის აღება და საშემოდგომო ნაკვეთებს ხნავენ. კარტოფილის ამოღება დაიწყეს. თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის დამატებით „ითვისებენ" სამშენებლო მოედნებზე ახალ პროფესიას პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი მამიკონ ფიდანიანი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მერუჟან გოგორიანი.

წელს სოფლებში კოთელიაში, პტენაში, ჩუნჩხაში, ოკამში, აზმანაში, აფნიასა და გოგაშენში უნდა აეშენებინათ 237 სახლი, ხოლო 342 სახლი შენდება. რამდენიმე ათეული სახლი უკვე გადახურულია, წარმოებს მოსაპირკეთებელი სამუშაოები, აპირებენ მთლიანად დაამთავრონ იგი ჯერ კიდევ ამ თვეში. ოქტომბრის დამლევამდე მთლიანად გამზადებული გადასცენ სამი ასეული საცხოვრებელი სახლი — ასეთ ამოცანას წყვეტენ მშენებლები.

ვითარება მშენებლობაზე იმის კვალობაზე იქმნება, თუ რამდენად დროულად აწვდიან დამპროექტებლები სამუშაო ნახაზებს, რა მოცულობით, ასორტიმენტითა და ხარისხით მოდის საშენი მასალები, როგორ მოქმედებს სატრანსპორტო კონვეიერი. და კიდევ მრავალ სხვა პირობაზე, გარემოებაზეა დამოკიდებული. მაგრამ მნიშვნელოვანი სხვა რამ არის. თუმცა პრობლემებსა და საკითხებს ყოველთვის სვამენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ აქ მოწყობილ ახალქალაქის რაიონში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შტაბის სხდომებზე, მაგრამ მათი ნაწილი, მათ შორის ზოგიერთი საკვანძოც, მაინც გადასაწყვეტი რჩება.

შეიძლება დროული არც კი იყოს ახლა სიტყვა ჩამოვაგდოთ სამშენებლო პროგრამის რაღაც ნაწილის დაფინანსების წყაროზე: ის გუშინდელი კი არა, გუშინწინდელი საქმეა. სულაც არ არის ასე. თურმე მთლიანად არ არის გადაწყვეტილი ეს მნიშვნელოვანი საკითხიც. მრავალთა შორის ისეც დაისვა აქ გამართულ სამუშაო თათბირზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ი. პავშენცევმა მოაწყო.

მშენებლობის საკითხთა განხილვაში აქ მონაწილეობდნენ რესპუბლიკური სამინისტროებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც უშუალოდ განაგებენ მშენებლობას, აგრეთვე ისინი, ვინც მას ემსახურება. აღინიშნა, რომ დროის სიმცირის გამო, სამწუხაროდ, ძალიან ბევრ პრობლემას მშენებლები დროებითი სქემით წყვეტენ. მაგალითად, სახლების უზრუნველყოფა წყლითა და თბომარაგებით, კანალიზაციით. ბოლომდე არ მოუფიქრებიათ გადმოსახლებულთა პირუტყვის გამოზამთრების საკითხი. იმის მიუხედავად, რომ ახალციხის ნავთობბაზაში საწვავი არის, ასობით მანქანა ვერაფრით გაუწყვიათ და ცდებიან. ითქვა, რომ არ არის სატელეფონო კავშირი ხუთ სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში. კავშირგაბმულობის მუშაკებმა გაიყვანეს ხაზი სოფელ კოთელიაში, აპარატები კი რატომღაც ჯიუტად დუმან. უჭირთ ქვიშა, საერთოდ ინერტული მასალები.

ამავე დროს, როგორც მშენებლებმა, ადგილობრივი საბჭოების, პარტიული ორგანიზაციების, სოფლის ინტელიგენციის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშენებლო რაზმის წარმომადგენლებმა, თათბირზე აღნიშნეს, ეს საკითხები არაერთგზის დაისვა წინა განხილვების დროს. ითქვა, აგრეთვე სხვა ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებაც. მეტისმეტად ბევრ ვალს ხომ არ დაუტოვებენ მშენებლები ახალმოსახლეებს? ყოველივე ამის ფონზე უნებურად გებადება კითხვა: როგორაა მთელ რიგ სხვა რეგიონებში აჭარიდან გადმოსახლებულთა სახლების საქმე. სადაც მათ, კალმა რომ თქვას, ცოტა ვინმე თუ აქცევს ნამდვილად ყურადღებას. ეს არ გამხდარა ფართო განხილვის საგანი.

აღინიშნა, რომ არ არის სისტემურობა სამშენებლო კონვეიერის ორგანიზაციაში. საკმარისი არ არის თანამიმდევრულობა მუშაობაში, ვიწრო ადგილების ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებაში. ეს არის მწვავე პრობლემების ხელმიშვებულობის ძირითადი მიზეზი. ამიტომ ყველა იმათ, ვისზეც დამოკიდებულია ახალმშენებლობის საბოლოო წარმატება მონაწილეობა უნდა მიიღოს მასში არა პერიოდული ჩამოსვლებითა და არა ვახტური მეთოდით, არამედ მუდამ იმყოფებოდეს ადგილზე.

თათბირმა დასახა პრაქტიკული გზები, განსაზღვრა მშენებლობასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტის ოპტიმალური ვადები. დაასახელეს კონკრეტული პირები, რომლებიც პასუხს აგებენ მათი შესრულებისათვის.

ახლა მშენებლებმა საათი კალენდრის მიხედვით უნდა შეამოწმონ. შემოდგომა დადგა. ზამთარი კარს გვიკაკუნებს!

ვალერიან ბაბუაძე,
საქინფორმის კორ.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოთარ ქვილითაიამ მიიღო ბელგიის ვალონის რეგიონის დელეგაცია, რომელიც საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით. მას მეთაურობს ვალონის აღმასრულებელი ორგანოს მინისტრი, საგარეო ურთიერთობისათვის, უახლესი ტექნოლოგიის დანერგვისა და ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის პასუხისმგებელი ალბერ ლიენარი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქმიანი წრეების წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები, ჟურნალისტები. ბელგიის დელეგაციის ჩამოსვლა დაკავშირებულია საქართველოს და ვალონს შორის პარტნიორობის შესახებ მომავალი ხელშეკრულების პროექტის მომზადებასა და განხილვასთან, რომელიც იწვევს ურთიერთინტერესს, აქვს ფართო პერსპექტივები.

რესპუბლიკის მთავრობის სახელით ოთარ ქვილითაიამ გამოხატა კმაყოფილება ესოდენ წარმომადგენლობითი დელეგაციის ჩამოსვლის გამო და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ დარგებში საქართველოს და ვალონის რეგიონის უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების პირდაპირი კავშირურთიერთობის დამყარებას.

ალბერ ლიენარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვალონის რეგიონის მთავრობა, საქმიანი წრეები, ფართო საზოგადოებრიობა ესწრაფვიან ყოველმხრივ თანამშრომლობას საქართველოსთან, მზად არიან უკვე უახლოეს ხანს პრაქტიკული ნაბიჯები გადადგან ამისათვის. საუბრის დროს აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონტაქტებს, დელეგაციების გაცვლას სხვადასხვა დონეზე.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ჯავახიშვილი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვილენ ქლავიძე და სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

გაიმართა ბელგიის დელეგაციის შეხვედრები რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების და საწარმოების წარმომადგენლებთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებთან. სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იმოგზაურეს მცხეთაში.

ბელგიის დედაქალაქის ვიზიტი გრძელდება. (საქინფორმი).

სოფელი: რთველი — 89

საჭიროა ტემპი და ორგანიზებულობა

ხეტყვამ და გვალვამ წელს მნიშვნელოვნად დააზარალა გურჯაანის მშრომელები. სტიქიის მიზეზით ოცი ათასამდე ტონა ყურძენი დააკლდათ აქაურ მევენახეებს. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს რთვლის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება. ყურძნის შაქრიანობა 19 გრადუსს აჭარბებს. ეს კი ნიშნავს, რომ მოსავლის აღების დახანებამ შესაძლოა დანაკარგები გამოიწვიოს, თანაც არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივიც.

წლეულს გურჯაანის რაიონში დიდი სამუშაოები ჩატარდა, რომ ღვინო — მევენახეთა შრომის საბოლოო პროდუქტი დადგენილ სტანდარტებს უპასუხებდეს. ღვინის მრეწველობის საწარმოებში შეტანილია და დადგმულია მილიონამდე დეკალიტრის ტევადობის მომინანქრებული ჭურჭელი. ბევრგან განახლდა მიმღები განყოფილებები და ტექნოლოგიური ხაზები, ჩატარდა კეთილმოწყობის სამუშაოები. რაიონის ღვინის მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეები სრულად უზრუნველყოფენ მოსალოდნელ 70 ათასი ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავებას.

კარდენახის ღვინის ქარხანაში წელს 9 ათასი ტონა ყურძენი უნდა მიიღონ, მისი სიმძლავრეები კი 15 ათას ტონაზეა გათვალისწინებული. აქ ბოლო დროს ბევრი სიახლე დაინერგა. თერმომადუღრებით აღჭურვილმა ახალმა საამქრომ 30 კაცი გამოათავისუფლა მძიმე ფიზიკური შრომისაგან. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. სწორედ ხარისხია წელს კარდენახელ მევენახეთა და მეღვინეთა ერთობლივი საზრუნავი. ამას კი ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობისა და ქარხნის გაერთიანებამაც შეუწყო ხელი.

ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების ერთ ხელში მოქცევის საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში, — ამბობს კარდენახის საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის დირექტორი თემურ გულიაშვილი. წელს იგი ჩვენთან დადებითად გადაწყდა და იმედია სასურველი შედეგიც მოჰყვება.

მეურნეობა და ქარხანა მაისში გაერთიანდა. ამით მკვეთრად გაუმჯობესდა მეურნეობის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სტაბილური გახდა ფულადი შემოსავლები. თუ ადრე ეკონომიკურად სუსტი მეურნეობა რთვლის მოლოდინში იყო, რომ ნაწილობრივ მაინც გაესტუმრებინა ვალები, ახლა მას დავალიანება აღარ ერიცხება, ღვინის რეალიზაციის თანხა კი უზრუნველყოფს მევენახეთა მიერ გაწეული შრომის დროულ და სრულ ანაზღაურებას. ამჟამად ქარხანაში დასაძველებლად იმდენი ღვინომასალა აქვთ, რომ მისი რეალიზაციის შედეგად უახლოეს წლებში მეურნეობა-ქარხანა ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნის ეკონომიკური პოტენციალი მხოლოდ კარდენახელ მევენახეთა შრომით როდი იქმნებოდა: აქ ყურძენს ტრადიციულად აბარებენ ასევე ბაკურციხელი, კოლაგელი, ვეჯინელი მშრომელები. და სრულიად სამართლიანია მათი მოთხოვნა, რომ ჩაბარებული ყურძნის რაოდენობის გათვალისწინებით გაუნაწილდეთ მოგება. ალბათ ეს საკითხი მომავალი რთვლისთვის მაინც უნდა მოგვარდეს.

როგორც უკვე ითქვა, ღვინის მრეწველობაში ბევრი რამ გაკეთდა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ საბოლოო წარმატების მიღწევა შეუძლებელია, თუ სათანადოდ არ განმტკიცდა მევენახეობა-მეღვინეობის სათავე და საყრდენი. ამ ორი მჭიდროდ დაკავშირებული დარგის დაშორებამ და მათ წიაღში გარკვეულწილად ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესების განვითარებამაც გამოიწვია სოფლის სადღეისო გასაჭირი. კარდენახში 643 ჰექტარი საზოგადოებრივი ვენახია, მაგრამ ვენახის ოცდაათპროცენტიანი სიმეჩხრის გამო მოსავლის ერთი მესამედი განწირულია. ამას ემატება არასათანადო მოვლა-პატრონობაც და, მოსავლიანობა მეტად დაბალია. წელს, მაგალითად, ჰექტარზე მხოლოდ 45 ცენტნერი ყურძენია დაგეგმილი. ზოგი ბრიგადა მოსავლის ამ რაოდენობასაც ვერ იღებს. ასე, მაგალითად, ავთანდილ ფრიდონაშვილის ბრიგადაში საშუალოდ ოცდაათამდე ცენტნერ ყურძენს კრეფენ. მეურნეობის ახალი ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეცვლის ვენახისადმი ადამიანის დამოკიდებულებას.

ამ იმედით შრომობენ ახლანდელ რთველში შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის მეზვრეებიც. არასწორმა ეკონომიკურმა და ორგანიზაციულმა პოლიტიკამ აქაც გაჩანაგების პირზე მიიყვანა ვენახი, მისი მეჩხერიანობა ორმოცდაათ პროცენტს აღწევს.

ის გზა კი, რომელიც დარგს გასაჭირიდან გამოიყვანს, თვით მეურნეობის მაგალითითაც თვალნათლივ ჩანს: მხოლოდ სავენახე გზა ჰყოფს № 5 ბრიგადისა და მოიჯარეების — სულთან ცაცაბოშვილისა და ვანო ნატროშვილის ვენახებს, მაგრამ მათი დამუშავების და მსხმოიარობის დონე ისე განსხვავდება, როგორც დღე და ღამე. მოიჯარეთა მოსავალი ას ცენტნერს სჭარბობს ჰექტარზე, ბრიგადისა კი მხოლოდ ამის ნახევარია. ბუნებრივია, განსხვავებული იქნება მათი შემოსავალიც. თითქოს ყველაფერი ნათელია — იჯარას უნდა მიეცეს უპირატესობა. მაგრამ მეურნეობაში ამ წესით ასობით ჰექტარიდან მხოლოდ 85 ჰექტარი მუშავდება.

მეურნეობა-ქარხნის დირექტორი ილია დალაქიშვილი ამ მდგომარეობას მევენახეთა რწმენის შერყევით ხსნის. ეს ფაქტორი მართლაც არსებობს: წლის დასაწყისში დადებული პირობა, არცთუ იშვიათად, წლის ბოლოს ფარატინა ქაღალდად იქცეოდა. მშრომელები [illegible], რომ მოიჯარეთა [illegible] მაგალითი უფრო [illegible] გაუჩენს ამ წესის მიმდევრებს.

რაც შეეხება საკუთრივ ყურძნის კრეფას, კარდენახელ და შრომელ მევენახეებს თავიდანვე სწრაფი ტემპის აღება მართებთ, რადგან, როგორც ითქვა, შაქრიანობა უკვე მაღალია და დაყოვნებამ შეიძლება დანაკარგები გამოიწვიოს. გათვალისწინებულ თხუთმეტ დღეში რომ მორჩნენ რთველს, შრომელებმა დღეში 200 ტონა ყურძენზე ნაკლები არ უნდა კრიფონ. მაგრამ მეურნეობაში ჩვენი მისვლის დღეს ეს მაჩვენებელი სანახევროდ თუ შესრულდებოდა, ვინაიდან ბრიგადები სრული შემადგენლობით არ იყვნენ გამოსული სამუშაოდ. მაგალითად, ჯუმბერ ჯანელიძის ბრიგადას ათი კაცი აკლდა, საკმაოდ შეთხელებული იყო ზემოთ ნახსენები № 5 ბრიგადაც, რომელსაც ნოდარ დანელიშვილი ხელმძღვანელობს. სტარტის ამ ხარვეზებს მეურნეობის ხელმძღვანელები ფსიქოლოგიური ფაქტორით ხსნიან — ასე ადრე არასოდეს დაწყებულა რთველი. მაგრამ ამ ბარიერის დაძლევა ხომ მათვე ევალებათ — დირექციას და პარტიულ კომიტეტს. სხვაგვარად შესაძლოა დაიკარგოს ისედაც მცირე მოსავალი, რომელიც ღვინოდ გადამუშავებული უნდა დაუბრუნდეს სოფელს.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ფოთის ტორფი

ტორფის მოპოვება და დამუშავება ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო ფოთის „საქსოფლქიმიის" სპეციალურმა გაერთიანებამ. იმ წლებში მოპოვება მიმდინარეობდა პალიასტომის ტბის ეკოლოგიის უხეში დარღვევით. მხოლოდ 1982 წელს გამოსწორდა ეს უსამართლობა. ახლა ტორფის მოპოვება აკრძალულია ტბიდან ერთი კილომეტრის შემოგარენში.

დასავლეთ საქართველოს მეურნეობებში ყოველწლიურად 230 ათას ტონაზე მეტი ტორფი იგზავნება. ეს ძვირფასი ორგანული სასუქი განსაკუთრებით სჭირდებათ მეციტრუსეობის რეგიონებს.

უახლოეს მომავალში ტორფის მომპოვებელთა დასახმარებლად მოვა საბჭოური წარმოების უფრო მძლავრი თანამედროვე ტექნიკა. მცურავი ამწის საშუალებით მოპოვება 8-10 მეტრ სიღრმეზეც გახდება შესაძლებელი, რაც ნაკლები ფართობიდან მეტი ტორფის მოპოვების საშუალებას იძლევა.

სურათებზე: ფოთის ნავსადგურის № 1 უბნის უფროსის მოადგილე რევაზ ჯაიანი (მარჯვნივ) და ერთ-ერთი საუკეთესო მეკატარღე ნიკოლოზ არბუზოვი; მიმდინარეობს ტორფის გაგზავნა.

საქინფორმის ფოტო.

მრეწველობა: სიძნელეები, პრობლემები

სოფელს ტექნიკა აკლია

მისი დამამზადებელი ქარხნის საწარმოო სიმძლავრეები კი დაუტვირთავია

„ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის" საწარმოო გაერთიანება სხვადასხვა დონეზე ბევრჯერ მკაცრად და სამართლიანად გაუკრიტიკებიათ საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობის გამო. მდგომარეობა აქ მართლაც საგანგაშოა. როგორც ჩვენი გაზეთის 22 აგვისტოს მოწინავე სტატიაშიც ვწერდით, ქარხანაში 10 ათასი მოტობლოკის დასამზადებლად ნავარაუდევი სიმძლავრეები, რომლებიც ჯერ კიდევ 1986 წელს ამოქმედდა, 42,2 პროცენტითღა არის დატვირთული.

ბევრ სხვა რამესთან ერთად ამის შედეგიცაა, რომ საწარმოში წლევანდელი შვიდი თვის მონაცემებით სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმა მხოლოდ 71 პროცენტით შესრულდა. მოგების მიღების ნაცვლად ზარალმა 18 ათასი მანეთი შეადგინა. გამოშვებულია მხოლოდ 2709 მოტობლოკი, რაც საგეგმოზე 2086 ერთეულით ნაკლებია.

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ესაუბრა გაერთიანების გენერალურ დირექტორს ამირან ნაცვლიშვილს ქარხანაში შექმნილი მძიმე ვითარების მიზეზებზე.

— **ჩვენი** საწარმოო სიმძლავრეები, — თქვა მან, — 10.000 მოტობლოკის გამოშვებაზეა გაანგარიშებული. ქარხანას ძალუძს ამ პროგრამის შესრულება. წლეულს 9 ათასი მოტობლოკი უნდა გამოვუშვათ. მისი განხორციელების შემთხვევაში სიმძლავრეები 90 პროცენტით იქნებოდა ათვისებული და ეს ურიგო მაჩვენებელი როდია, მაგრამ...

— ციფრები კი მეტყველებს, რომ ძალზე ჩამორჩით.

— დიახ, ჩამორჩით, მაგრამ, მინდა სწორად გამიგონ მკითხველებმაც და მაკონტროლებელმა ორგანოებმაც: ჩამორჩენა ძირითადად ობიექტური მიზეზების ბრალია. მათ შორის მთავარია ძრავების მოუწოდებლობა. აი, ახლაც 1500 შასი დაუკომპლექტებელია მხოლოდ და მხოლოდ ძრავის უქონლობის გამო.

— რომელი საწარმო გაწვდით ძრავებს?

— თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანა". წლის პირველ კვარტალში ნორმალურად ვითანამშრომლეთ, რაიმე სერიოზული დაბრკოლება არ შეგვქმნია. მიწოდების ხელშეკრულებაც ამიტომ 100 პროცენტით შევასრულეთ. გართულებები წარმოიშვა მეორე კვარტალში, როცა ლენინგრადის კარბურატორების ქარხანამ ვერ შეძლო „საქსოფლმანქანისათვის" მიეწოდებინა პროდუქცია. ამის შედეგად გეგმა ჩაგვეშალა თბილისის საწარმოსაც და ჩვენც. ასე გრძელდება დღემდე.

— პერსპექტივაც უიმედოდ გესახებათ?

— არა, ასე ვერ შევაფასებთ ვითარებას. იგი უაღრესად რთულია, რა თქმა უნდა, მაგრამ, არა — უიმედო. საქმე ის არის, რომ სსრ კავშირის ავტოსატრანსპორტო მრეწველობის სამინისტრომ, მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, ივლისში შეისყიდა 4 ათასი ცალი უცხოური კარბურატორი. ახლა ჩვენც და თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანაც" ვცდილობთ, რომ წლის დარჩენილ დროში გამოვიყენოთ სამინისტროსაგან ბოძებული ეს საშუალება და შეთანხმებული მუშაობით შევძლოთ 4 ათასი ცალი მოტობლოკის დამზადება. ეს კი ნიშნავს, რომ საწარმოო სიმძლავრეების ათვისების დონეს 60-70 პროცენტამდე გავზრდით. ცხადია, გაგვიუმჯობესდება ეკონომიკური მაჩვენებლებიც. თავისთავად ეს დონე ბევრი ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ ამჟამინდელ მდგომარეობას კი ბევრად აჯობებს.

— დამეთანხმებით, ალბათ, პატივცემულო ამირან, სიძნელეების თავიდან აცილებისათვის თადარიგის დროულად დაჭერა და მომავლის პროგნოზირება იყო საჭირო. დაბრკოლებები ხომ ერთბაშად არ წარმოქმნილა? სწორედ ამის გათვალისწინებით, ჩამორჩენის მაუწყებელი სიმპტომები თავის დროზე შეუმჩნეველი რომ არ დაგვრჩენოდა, მისი დაძლევის გზებიც უფრო ადრე და ოპტიმალურად განისაზღვრებოდა.

— მართალი ბრძანდებით. ფაქტი, როგორც იტყვიან, ჯიუტია. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ არის სიმძლავრეები, მაგრამ არა გვაქვს მათი სრულად ამოქმედების საშუალებები. არადა, თითქოს ყველაფერი გათვლილი იყო. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ლენინგრადის კარბურატორების ქარხანამ თბილისის „საქსოფლმანქანის" ქარხანა დააღალატა, ამ უკანასკნელმა — ჩვენ, და მივიღეთ დიდი გარღვევა. მომავლისათვის ეს მწარე სინამდვილე უნდა გავითვალისწინოთ.

— აქამდე მხოლოდ მოტობლოკების წარმოებისათვის გამიზნულ სიმძლავრეთა დაუტვირთაობაზე ვილაპარაკეთ. აქ მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა, მაგრამ, ამას გარდა, რამდენადაც ვიცით, სირთულეებია ოთხთვლიანი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების სერიულ წარმოებაშიც. სოფლის მეურნეობის მუშაკები კი დიდი ხანია ელოდებიან ამ მინიმანქანას. რაშია საქმე?

— დიახ, წლეულს გამოვუშვით და გავყიდეთ მხოლოდ 100 ცალი ეს მანქანა. რამდენიმე პრობლემა აქაც გვაქვს. პირველი ის გახლავთ, რომ, კაპიტალური დაბანდების გამოუყოფლობის გამო გეგუთში შეჩერებულია ქარხნის ფილიალის მშენებლობა. აქ კი უკვე წლეულს უნდა დაწყებულიყო ნაჭედებისა და სხმულების წარმოება. მაგრამ რაკი ეს არ მოხერხდა, იძულებული გავხდით სამინისტროს დაქვემდებარების ქარხნებში გვეცადა შეკვეთების განლაგება. ეს ძალიან გაჭირდა, მაგრამ, ვფიქრობთ, წლის ბოლომდე გადავწყვიტოთ პრობლემა: მომზადდა და მალე გაფორმდება ხელშეკრულებები „როსსელმაშის" გაერთიანებასთან, რომელმაც უნდა დაგვიმზადოს ნაჭედები და ფოლადის სხმულები, კუპიანსკის სამსხმელო ქარხანასთან, რომელიც მოგვაწვდის საჭედი თუჯის ნამზადებს, ვლადიმირის სატრაქტორო ქარხანასთან, რომელიც რუხ თუჯს დაგვიმზადებს და ა. შ.

მეორე პრობლემა ტრაქტორისათვის კუთვნილი 14 ცხენისძალიანი დიზელის ძრავის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ამ ძრავის წარმოების მომზადება დიდად ჭიანურდება ვლადიმირის სატრაქტორო ქარხანაში, არც უახლოესი წლებისათვის იკვეთება მისი გადაწყვეტის პერსპექტივა. მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით მოვძებნეთ პარალელური ვარიანტი: ამჟამად ქარხნის საკონსტრუქტორო ბიურო აწარმოებს ავტომობილ „ზაპოროჟეცის" კარბურატორიანი ძრავით აღჭურვილი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის ფორსირებულ გამოცდას. პირველი შედეგები დამაკმაყოფილებელია. ვფიქრობთ, 2-3 თვეში გვექნება საბოლოო სურათი და მომწოდებლებს შევუთანხმებთ აღნიშნული მოდიფიკაციის ტრაქტორის ტექნიკურ დოკუმენტაციას.

მესამე პრობლემა უკავშირდება სპეციალური ჩარხ-დანადგარების შეძენას ტრაქტორის ტრანსმისიის რთული კორპუსული დეტალების დამუშავებისათვის. უკვე შემოვიტანეთ ექვსი დამმუშავებელი ცენტრი. გავაფორმეთ კონტრაქტი იტალიურ ფირმა „გოლდონთან" და 1990 წლის დამდეგს ავამოქმედებთ სპეციალური ჩარხებისაგან შედგენილ იმპორტულ ხაზს. ამგვარად წლეულს ქარხანაში ძირითადად ფორმირდება სიმძლავრეები მინიტრაქტორის გამოშვებისათვის და მომავალი წლიდან შევუდგებით მათ სერიულ წარმოებას.

— და, მაინც, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, პატივცემულო ამირან, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვერც ქარხნის ხელმძღვანელობამ, ვერც სამინისტრომ დროულად ვერ გაითვალისწინეთ მოსალოდნელი სიძნელეები, რომელთა აცილებაც გარკვეულწილად შეიძლებოდა.

— კრიტიკაც ამიტომ დავიმსახურეთ. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩამორჩენის გამომწვევი მიზეზების დიდი ნაწილი ობიექტურია. ჩვენი კოლექტივი, მისი ტექნიკური ხელმძღვანელობა მზად ვართ, მაქსიმალურად ავითვისოთ საწარმოო სიმძლავრეები, უკვე მომავალი წლის პირველ ნახევარში მინიმუმ 60 პროცენტამდე გავზარდოთ მათი გამოყენების მაჩვენებელი და ხუთწლედის ბოლოსათვის შევძლოთ ნავარაუდევთან მიახლოებული საუკეთესო ხარისხის ნაწარმის გამოშვება.

ესაუბრა
ვაჟა თევდორაძე.

რედაქციისაგან: როგორც ვხედავთ, გაერთიანებაში მართლაც ბევრი სიძნელე და პრობლემაა. ჩვენ მის გენერალურ დირექტორს მივეცით საშუალება გამოეთქვა მოსაზრებები მათი გამომწვევი მიზეზების გამო. სასურველი და აუცილებელიც იყო, რომ მას მხოლოდ ობიექტური მიზეზები კი არ აღენიშნა, არამედ საფუძვლიანად ელაპარაკა იმის თაობაზეც, რა და როგორ კეთდება მდგომარეობის გამოსწორების, მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესების, გარჯისა და მატერიალური სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვის თუ სხვა სათანადო ღონისძიების განხორციელების მიზნით, რომლებიც საჭიროა არსებულ სიძნელეთა უთუოდ დაძლევისათვის. საკუთარი საქმიანობისადმი თვითკრიტიკული მიდგომა და, ამის შესაბამისად, სათანადო დასკვნების გამოტანა კი უთუოდ ძალიან დაეხმარება აქაურ ხელმძღვანელებსა და მშრომელებს უკეთ მუშაობაში. მით უფრო, რომ გაერთიანებაში არც სუბიექტური მიზეზების ნაკლებობაა. ამ საკითხებს „კომუნისტი" კვლავაც დაუბრუნდება, რადგან მცირეგაბარიტიანი ტექნიკა დღეს განსაკუთრებით სჭირდება სოფელს, მისი დამამზადებელი ქარხნის საწარმოო სიმძლავრეები კი დღესდღეობით სანახევროდაც არ არის დატვირთული.

მოვლენათა ქრონიკა

გაიმარჯვეს შეჯიბრებაში

ბათუმი. („კომუნისტის" საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნო კოლექტივს დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის სახალხო მეურნეობის ტვირთის დამუშავებაში. თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლის შემდეგ აქ შედეგები საგრძნობლად გაუმჯობესდა. სანაოსნომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წლეულს პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით კვლავ დაიმსახურა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და საზღვაო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საზღვარგარეთ ტვირთზიდვის გეგმა შესრულდა 109,5 პროცენტით, შესრულდა ტვირთის გაგზავნა-დამუშავების დავალებები — 106,8 პროცენტით. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხომალდების „აკადემიკოს დავითაიას", „თბილისის", „კაპიტან მაჭავარიანის", „ი. ბროზ ტიტოს", „დავით გურამიშვილის", „ბათუმის", „ფოთის", „იუსუფ კობალაძის", „ასპინძის" ეკიპაჟებმა.

▼▼

მათემატიკოსთა საკავშირო შეკრება

12 სექტემბერს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიხსნა მეორე საკავშირო კონფერენცია „რიცხვითი ანალიზის თანამედროვე პრობლემები", რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის განყოფილებამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტმა. კონფერენციის მუშაობაში ორგანიზატორებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. კელდიშის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, აგრეთვე მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქვეყნის მრავალი ქალაქიდან ჩამოსულ მათემატიკოსთა ეს ფართო წარმომადგენლობითი ფორუმი ეძღვნება გამოთვლითი მათემატიკის მეთოდების დამუშავებისა და გამოყენების საკითხებს, გამოყენებითი ამოცანების მოდელირების საკითხებს, მათ შორის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანებსაც.

მეცნიერული მოხსენებები და ინფორმაციები სამ სექციაშია წარმოდგენილი. კონფერენციის მუშაობა დღეს მთავრდება.

თამაზ ეგანოიძე.

▼▼

იცავენ კოროზიისაგან

რეაქტიული სათბობისაგან მიღებული გოგირდოვანი შენაერთების მოცილების ახალი ხერხი შეიმუშავა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ზურაბ გელიაშვილმა. ცნობილია, რომ გოგირდი იწვევს მანქანის აპარატურისა და სხვადასხვა დეტალების კოროზიას. შემმუშავებლის გამოანგარიშებით, თუ სათბობზე რადიაციული მეთოდებით ვიმოქმედებთ, შეიძლება მივაღწიოთ მის სრულ გაწმენდას. სამუშაო წარმოებდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან დადებული სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე. დანერგვის ეკონომიკური ეფექტი წელიწადში დაახლოებით 300 ათასი მანეთია.

(საქინფორმი).

ნერგავენ სიახლეს

თბილისი. საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივმა აითვისა ახალი სახეობის სახარატო მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია [illegible] ხრახნსაჭრელი დეტალების დასამზადებელი ჩარხისათვის.

ძველთან შედარებით ახალი მოწყობილობა გამოირჩევა მარტივი კონსტრუქციით, მაღალი ტექნოლოგიური მაჩვენებლებით, ნაკლებად შრომატევადია, საიმედოა და სტაბილურია მუშაობაში.

ქარხანაში დიდი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეთა დანერგვას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აქ აითვისეს ახალი კონსტრუქციის მოწყობილობა და მთლიანად განაახლეს პროდუქცია. რვა დასახელების ნაწარმი ხარისხის სახელმწიფო ნიშნითაა მარკირებული.

ქარხანამ დაამყარა საქმიანი ურთიერთობა საკავშირო და რესპუბლიკურ დარგობრივ ინსტიტუტებთან. მეცნიერებთან ერთად საწარმოს ტექნოლოგიური განყოფილება ნერგავს სიახლეებს, [illegible] ტექნოლოგიურ პროცესებს. (საქინფორმი).

ჩვენი თანამემამულე

შემოქმედებითი კოოპერატივის სავიზიტო ბარათი

ერთი ტიპური ლენინგრადული სახლის თაღზე ლომისთავიანი აბრაა წარწერით: „კარკასი“ — საარქიტექტურო-სარესტავრაციო კოოპერატივი. შეხვალთ ეზოში, აივლით რკინის კიბეებს და პატარა, კოხტა სახელოსნოში აღმოჩნდებით. ხსენებული კოოპერატივი ჩვენთვის მით უფრო საინტერესოა, რომ მისი თავკაცია ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორი ბადრი მარგიშვილი.

— კოოპერატივი საბჭოთა კულტურის ფონდის ლენინგრადის განყოფილებასთან სულ ორიოდე წლის წინათ დაარსდა,—გვითხრა ბადრიმ, — და ქალაქისა და მისი შემოგარენის აღდგენით სამუშაოებს ემსახურება.

მცირე ექსკურსი:

ბადრი მარგიშვილმა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის ასპირანტურაში განაგრძო სწავლა არქიტექტურის დოქტორის გიორგი დმიტრის ძე პლატონოვის ხელმძღვანელობით. მისი სადისერტაციო თემაა „ძველი ქალაქთმშენებლობის გარემოს აღდგენა (რეგენერაცია)“. ამ მიმართულებით მან უკვე შეასრულა რამდენიმე სამუშაო, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველ თბილისში შარდენის ქუჩა, ლენინგრადში კი ბუნების სახლი, ყოფილი ფინური ეკლესია, ბავშვთა გასართობი მოედანი (კრასნოსელსკის რაიონი), ლერმონტოვის სახელობის ბიბლიოთეკა, „სახლი ფონტანკაზე“, გრაფ შერემეტევის ყოფილი სასახლე, რომლის ფლიგელშიც 30 წლის მანძილზე ცხოვრობდა სახელოვანი რუსი პოეტი ანა ახმატოვა. პოეტის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით სასახლე გამონთავისუფლდა არქტიკისა და ანტარქტიდის კვლევითი ინსტიტუტისაგან, რომელმაც საკმაოდ დააზიანა როგორც შენობის ძირითადი ნაწილი, ასევე მინაშენი.

ბადრიმ მაჩვენა შარშანდელი ფოტოსურათები იმ ოთახებისა, რომლებშიც ახლა მუზეუმია განლაგებული — აყრილ-დაყრილი იატაკი, ჩამონგრეული კედლები და კიბეები, ჩამტვრეული კარ-ფანჯარა, უთავბოლოდ მიყრილ-მოყრილი დგამი. მხოლოდ ენთუზიასტი, იმედიანი ადამიანი შესძლებდა დაედგა თავი საქმისათვის, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება ლენინგრადის საქალაქო აღმასრულებელმა კომიტეტმა სულ ერთი წლის წინათ — 1988 წლის 4 ივლისს მიიღო და სათავეში ჩაუდგა თ. დოსტოევსკის ბინა-მუზეუმის დირექტორი ბელა რიბალკო („სახლი ფონტანკაზე“ დოსტოევსკის მუზეუმის ფილიალია; ფილიალის გამგეა ნინო პოპოვა).

...დრო მცირე, სამუშაო დიდძალი და მეტად თავისებური — ვინ ითავებდა ამგვარ თავსატეხ საქმეს? ასეთი კაცი აღმოჩნდა ბადრი მარგიშვილი და რაკი ეს სამუშაო „კარკასმა“ იკისრა, მუზეუმის მესვეურებიც დაშოშმინდნენ, რადგან ბადრის უკვე საქმიანი და გულითადი კაცის სახელი ჰქონდა — რასაც ხელს მოჰკიდებს, კიდეც მონათლავსო! ამას დაემატა თვით ახმატოვას პიროვნებისა და შემოქმედებისადმი მოწიწება და სიყვარული — აქ მხოლოდ ნაგებობასთან კი არა, ადამიანთან ჰქონდა კონტაქტი, — სამუზეუმოდ გამოყოფილ ექვს ოთახში მას უნდა წარმოედგინა პოეტის მიერ განვლილი რთული ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, რისთვისაც ძირფესვიანად შეისწავლა ანა ახმატოვას შემოქმედება და ძირითად ქარგად დაისახა „პოემა უგმიროდ“. აქ მან რეჟისორული ხედვაც გამოამჟღავნა — ეს პოემა თეატრალიზების საშუალებას იძლევა და ამიტომაც ბადრისთვის ამოსავალ წერტილად იქცა — ნახაზშივე გამოჩნდა მისი საინტერესო ჩანაფიქრის პერსპექტივა. ეს პლანშეტი ახლა სახელოსნოშია და თუმცა ყველაფერი ბოლომდე ჯერ არ არის განხორციელებული, ბადრი იმ დღეზე ოცნებობს, როდესაც საშუალება მიეცემა შერემეტევის სასახლის სარკეებიანი თეთრი დარბაზიც მისი ჩანაფიქრის ასპარეზად იქცეს, რადგან სწორედ ის დარბაზია (მინაშენიდან პირდაპირ იქ გადის კარი) პოემის პერსონაჟთა სამოქმედო ადგილი. მაშინ მართლაც დიდი გასაქანი მიეცემა ბადრის ნააზრევს, რომელიც თეატრალური დადგმასავით სახიერია.

დიალოგი შერემეტევის სასახლის მყუდრო და ლამაზ ბაღში.

მუზეუმის გახსნის წინა დღეს ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო იყო, კორესპონდენტებისათვის არ „სცხელოდათ“ რიბალკოს და პოპოვას, მაგრამ „დაუპატიჟებელი“ სტუმრები მაინც გაჩნდნენ — ჯერ ლენინგრადის ტელევიზიის წარმომადგენლებმა დაარღვიეს XVIII საუკუნის ბაღის მყუდროება, იერიშით აიღეს მეორე-მესამე სართული და ის იყო რიბალკომ სხვა კორესპონდენტები უარით გაისტუმრა — კედლები ჯერ ცარიელია, ყველაფერი იატაკზე მიწყვია, რომ გამოვეცხადეთ. ჩვენი სადაურობა გაიგო თუ არა, — ფარხმალი დაყარა, ჩვენთვის „პრემიერის“ წინადღეც საინტერესოა-მეთქი.

— მობრძანდით, მობრძანდით, თქვენ უარს ვერ გეტყვით, მით უმეტეს, რომ მთელი ექსპოზიციის ავტორი ბადრი მარგიშვილია და, საერთოდ, რაც აქ გაკეთდა, მისი და მისი „კარკასის“ წყალობა გახლავთ.

აი, მაშინ გავიგე პირველად ბადრი მარგიშვილის სახელი, მაგრამ ეს „კარკასი“ რაღაა-მეთქი, გავივლე გუნებაში.

— დრო იმდენად მცირე გვქონდა, არავინ ჰკიდებდა ხელს საქმეს და ბოლოს ბედად გამოჩნდა ბადრი. სხვა ვერავინ მოახერხებდა ასე სწრაფად, ექვს-შვიდ თვეში [illegible]

[illegible] 1946 წლის [illegible]

...რაკი ბელა რიბალკოსთან დიალოგი შერემეტევის სასახლის ბაღიდან დაიწყო, ისიც უნდა ითქვას, როგორ გაახლდა და გამშვენიერდა ხელმიშვებული ბაღნარი, როგორი შვება იგრძნეს ხნოვანმა ცაცხვებმა ინსტიტუტის გასახლების შემდეგ აღებული მოგუგუნე დანადგარისაგან, როგორ შეემატა ნარგავებს პოეტის საყვარელი იასამნისა და ასკილის ბუჩქები.

მეორე სართულზე რომ ავედით, ჯერ დაუმთავრებელი დარბაზი გვაჩვენა ბელა რიბალკომ. აქ იქნებაო ექსპოზიცია „ვერცხლის საუკუნის პოეზია“, რომელშიც რევოლუციამდელი რუსული პოეზიის სული გაცოცხლდება. ამ ექსპოზიციაში კიდევ ერთი თქვენი თანამემამულე გამოჩნდება როგორც ავტორი ანა ახმატოვას ფერწერული პორტრეტისა — მხატვარმა მერაბ დურგლიშვილმა იგი საჩუქრად გადმოსცა მუზეუმს. მემორიალური ბინა კი მესამე სართულზე, ექვს ოთახშია განლაგებული, აქედან ერთადერთია ანასეული და მასში პოეტის ნაქონი რამდენიმე ნივთიც ინახება.

...ეს ყველაფერი კარგი და კეთილი. ახლა ისევ ბადრის და „კარკასს“ დავუბრუნდეთ.

მარტოკაცი რას გასწვდებოდა ამოდენა სამუშაოს!

— ბრიგადაში ათი კაცი მყავდა, — თქვა ბადრიმ. მუშაობას სექტემბერში შევუდექით, ნახაზი კი, ცხადია, იქამდე გავაკეთე და წარვადგინე მუზეუმის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის მხატვარ ტატიანა ვორონიხინას, რომლის გამოცდილებაც ჩემთვის სკოლად იქცა და „კარკასის“ მთავარ ინჟინერს თენგიზ თოდუას. ჩვენ მართლაც ძალზე მცირე დროში შევასრულეთ მძიმე სამუშაო, რასაც დაუფარავად აღნიშნავენ აქაური გაზეთებიც.

გადავხედე პრესას („ლენინგრადსკაია პრავდა“, „ვეჩერნი ლენინგრად“ და სხვ.). ა. ახმატოვას წინასაიუბილეო მასალებში ვკითხულობ: „არნახულად მოკლე ვადებში“... ...„იქნებ ეს ბუნებრივიცაა და ასეც უნდა იყოს“... ...„ასეთი მუშაობა ხელს აძლევს არა მარტო დამკვეთს, არამედ კოოპერატივის თანამშრომლებსაც“, — წერს „ლენინგრადსკი რაბოჩი“.

რატომ? — წამოიჭრება შეკითხვა და ბადრიც იმეორებს კორესპონდენტებთან ადრე ნათქვამს:

—ფასები ჩვენთან იგივეა, რაც სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგრამ ჩვენ მინიმუმამდე შევამცირეთ ზედნადები ხარჯები, კერძოდ, უარი ვთქვით ზედმეტ მმართველობით აპარატზე და,

რაც მთავარია, დროის მომჭირნეობას მივაღწიეთ.

მაშ ასე, ვინც დროის ყადრი იცის, საქმესაც თავგზიანად გაუძღვება და ეს რომ ასეა, შედეგმაც ცხადყო. ამიტომ მომყავს შარშანდელ გაზეთში დაბეჭდილი ლენინგრადელი ჟურნალისტის ი. სმირნოვის სიტყვები:

„ბადრი მარგიშვილი არა მარტო „საქმიანი კაცია“, მისი დისერტაციის თემაა — „ძველი ქალაქთმშენებლობის აღდგენა“. ამას იმიტომ გიამბობთ, რომ ლენინგრადელებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ვისა აქვს მინდობილი ჩვენი საერთო ოცნების აღსრულება“.

ახლა, როცა ეს დიდი ოცნება აღსრულებულია, როცა 24 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა „სახლი ფონტანკაზე“, სხვაც ბევრი საფიქრალი აქვს ბადრის და მაინტერესებს უახლოესი.

— ერთია ნევის პროსპექტზე მაღაზია-სალონი „მემკვიდრეობა“, მეორე ე. წ. „მუსინ-პუშკინთა სახლი“, სადაც თითქმის დამთავრდა გარე სამუშაო და ინტერიერში გადავინაცვლეთ. ეს იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ მასში ბინას დაიდებს თეატრი-სტუდია „სანქტ-პეტერბურგი“. ამ თეატრის შემოქმედებითი ამპლუა ითვალისწინებს XIX საუკუნის დრამატურგიას, მის აფიშაზე ქართული რეპერტუარიც გამოჩნდება, თავდაპირველად ნაგულისხმევია „ქეთო და კოტე“. ეს არის პუშკინის სახელობის დრამატული თეატრიდან ერთი წლის წინათ გამოყოფილი დასი ევგენი ლუკაშკოვის ხელმძღვანელობით.

ბადრი მაჩვენებს რამდენიმე ესკიზს, რომელთა თემაა ლერმონტოვი და საქართველო. ეს ნახატებიც ამ შენობის ინტერიერისთვისაა განკუთვნილი. შენობის პირველ სართულზე იქნება თეატრი, ხოლო მეორე სართულზე ძველებური ბიბლიოთეკა — სწორედ ეს მონაკვეთია ამჯერად ბადრის ყურადღების ცენტრში.

უკვე ცხრა წელიწადია, ბადრი ლენინგრადის მკვიდრია. ამ ხნის მანძილზე იგი მთლიანად გაეცნო და სულიერად დაეუფლა მის წარსულსა და აწმყოს. მის მომავალზე ამიტომ ფიქრობს და ზრუნავს ესოდენი სიყვარულით, ცოდნითა და გულმოდგინებით.

— საქართველო, თბილისი?! სამშობლო მაინც უმთავრესია!... აკი ძველი თბილისიდან დაიწყო მისი შემოქმედებითი გზა. ოცნებობს დაბრუნებაზე, დაბრუნებამდე კი თანაკურსელთან და თანამოაზრესთან რამაზ დურგლიშვილთან ერთად აპირებს საქართველოში თავისი კოოპერატივის ფილიალის გახსნას.

ასეთია „კარკასის“ შემქმნელთა სადღეისო და სამომავლო გეგმები, მათი შემოქმედებითი სახე.

მომავალში, ალბათ, სახელოსნოსაც ერთად გადანათლავენ, რომლის სახელწოდებაც თავიდან მაინცდამაინც არ მეჭაშნიკა, მაგრამ ბადრის არგუმენტები ჩემს ვარაუდსაც დაემთხვა: ქართული მერჩია, თუმცა თითქმის ყველა მთისა და მდინარის სახელი რესტორნებმა და სამწვადეებმა მიითვისეს, ამიტომ არქიტექტურულ ლიტერატურაში ცნობილი და არსებითი ტერმინი — „კარკასი“ შევარჩიე — ჩვენი საქმის არსს ზუსტად გამოხატავსო.

— შემოქმედებით არსს-მეთქი, — დავძენდი მე: რაოდენ საინტერესო ყოფილა შემოქმედებითი კოოპერატივის სინამდვილე და მისი მომავალი.

ნანა ღვინეფაძე,
ლენინგრადი-თბილისი

◆

სურათზე: ბადრი მარგიშვილი.

ეკოლოგია

ალაზანი დიდია?!

ანუ როგორ გაპარტახდა ჭალები მდინარე ალაზნის აუზში, რა მოჰყვა ამას და რას გვიქადის ბუნება

ალაზანი დიდიაო, ვიცით ხალხური ლექსიდან, და მართლაც, დიდი იყო ერთ დროს მდინარეცა და ველიც, საქართველოს, კერძოდ კახეთის ერთ-ერთი მშვენება. საუბედუროდ, ახლა არც მდინარეა დიდი, აღარც ჭალები და მარჩენალი მიწასაც ლალი გამოელია.

ალაზნისპირა ჭალების გაპარტახება ძირითადად სამამულო ომისა და მომდევნო წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. რა მოხდა, რატომ გვეცლება ხელიდან მდინარე, მისი ჭალები და ველები?

ალაზნის ველი კავკასიონისა და გომბორის მთებს შორის მდებარეობს და ამ ველის მშვენებაა მდინარე და მისი ჭალები, ბაღვენახები და შეძლებული სოფლები. თუმცა, როგორც ვთქვით, სადღაა დიდი ალაზანი, მდინარე იშრიტება, ჭალები ერთობ გაიჩეხა და გამეჩხერდა. გამეჩხერდა, როცა ტყე შეშისთვის იკაფებოდა. მერე კი სოფლებში სათბობად გაზი გაჩნდა და ყველამ იფიქრა, ალაზნის ჭალებს ეშველაო, მაგრამ ყველა მწარედ შეცდა, ვისაც სიხარბე არ დაუძლებოდა.

სიხარბემ აპოთეოზს მაშინ მიაღწია, როცა საზამთროს ბუმი დაიწყო და გამდიდრების წყურვილმა ბევრს თვალები ისე დაუბრმავა, რომ აღარც ფლორა დაინდო და აღარც ფაუნა, და ეს ყველაფერი ან უვიცობით, ან იოლად გამდიდრების სურვილით დაემართათ. ხელშემშლელი კი ალაზნის ველზე მდებარე რაიონებისა და სოფლების ხელმძღვანელობიდან თითქმის არავინ გამოჩნდა.

სიხარბით თვალდავსილი მესაზამთროეები ალაზნის ჭალებს ხან აქ, ხან იქ ჩეხავდნენ, ჯიბეებს ისქელებდნენ და იმასაც კი არ ფიქრობდნენ და არც ახლა ფიქრობენ, რომ იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც სხედან. ბუნება უხულგულობას არავის აპატიებს და აკი არც გვაპატია. მთელი ალაზნის ველი, ეკოლოგიისადმი უმეცარი დამოკიდებულების გამო, ბოლო წლებში გამკაცრებული ბუნებრივი მოვლენების სარბიელად გადაიქცა. წყალდიდობა, გვალვა, ხან სეტყვა ანადგურებს სოფლის მშრომელთა ნაჯაფარსა და ნაამაგარს.

განა მხარდაჭერის ღირსი არ იყო ამას წინათ კახეთის ზონალურ თათბირზე გურჯაანის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ოთარ ჯოხაძის წინადადება, რომ ექსპერიმენტის სახით სამი წლით შევაჩეროთ სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტების გამოყენებაო. უთუოდ მხარდასაჭერია. ღონისძიებაც დაისახა, მაგრამ აგვისტოს მეორე ნახევარში ღამით ალაზნის ველზე ღრუბლებს ისეთი ომი გაუმართეს, რომ ცა გაწითლდა, მთები გუგუნმა და გრუხუნმა შეძრა. უამრავი ჭურვის ბათქა-ბუთქმა არემარე გააყრუა, მაგრამ სეტყვა მაინც ვერ შეაჩერეს. ამას ვინღა ჩივის, ატმოსფერო ისე დაჭუჭყიანდა, რომ უსიამოვნო სუნი რამდენიმე დღეს იგრძნობოდა სოფლებში და განსაკუთრებით ვენახებსა და მინდვრებში.

ერთი კი უნდა ვთქვათ: მთელ წელიწადს ხეირიანად არც უთოვია კახეთში, განსაკუთრებით კი სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში. აგვისტოს ბოლოს კი სიღნაღში ძლიერმა ქარიშხალმა ღვართქაფები წარმოშვა და ბოდბისხეველი სამი შვილის ახალგაზრდა მამა ტარიელ ჭაბაშვილი დაახრჩო. რა თქმა უნდა, გადარჩენა შეიძლებოდა, ღამე რომ არ ყოფილიყო, მაგრამ... ღვარცოფებს სხვა სახის ეკოლოგიური უკუღმართობაც მოჰყვა. როგორც ამ სოფელში, ისე თითქმის მთელ კახეთში, ღვარსაშვებ მობეტონებულ არხებში სოფლის მცხოვრებნი უამრავ საოჯახო ნაგავს და დახოცილ ფრინველს, პირუტყვს, გაფუჭებულ პროდუქტებსაც კი ყრიან. ეს ყველაფერი მდინარე ალაზანში ჩადის და წყალი იწამლება. მერე ამ წყალს სარწყავად იყენებენ და, ცხადია, მომწამვლელი ნივთიერებანი პროდუქტებში გადადის.

რომელი ერთი სოფელი დავასახელოთ, ასეა თელავის, გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონების სოფლების უმეტესობაში. განა არ დადგა დრო, ყველა სოფელში იყოს ნაგვის დასაყრელი ადგილი და ჰქონდეთ თვითმცლელი, ან სპეციალური ნაგვის მანქანა, რომ უამრავი ნაგავი რეგულარულად გაიტანონ სოფლიდან და დაწვან? ანდა სოფლის მშრომელთ განა იმდენი შეგნება არ უნდა ჰქონდეთ, რომ ხევებში თვეობით ამყრალებული ნაგავი ბუზებისა და მღრღნელების გავრცელების ბუდეა? ის ბუზები და მღრღნელები ხომ მათსავე კარ-მიდამოს უბრუნდებიან და ანტისანიტარიას ქმნიან, ავადმყოფობას აჩენენ?

ვერტმფრენიდან ალაზნის ველი ხელისგულივით ჩანს. გასულ ზაფხულს მდინარე ისე დაიწრიტა, რომ ბავშვები წყალში თავისუფლად ჭყუმპალაობდნენ. ზემოდან ისიც კარგად ჩანს, რომ ჭალები ერთობ გამეჩხერებულია. სატყეო მეურნეობების ხელმძღვანელები კი ამტკიცებენ, რომ ალაზნის ჭალებს ორმოცდაათიანი წლებიდან ბევრი არაფერი მოჰკლებიაო.

ლაგოდეხის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორის გიორგი ნოზაძისა და მთავარი მეტყევის ბეჟან სულაძის აზრით, ალაზნის ჭალების აღდგენა ნორმალურად მიმდინარეობს: წელიწადში 80-90 ჰექტარ ტყეს ვაშენებთო. ახლადგაშენებული ტყეებიდან უმეტესად აკაციაა გახარებული, ალაზნის ჭალებში კი მუხა, რცხილა და თელა ხარობს კარგად. ამ ჯიშის ნერგები არსად არ დაურგავთ, სამაგიეროდ გაშენდა 600 ჰექტარი კაკალი (ეს ურიგო როდია), 100 ჰექტარი იფანი, 30 ჰექტარი ჭადარი და სხვა.

ლაგოდეხელებს უნდა შევახსენოთ, რომ ჭიაურის სახელგანთქმული მუხნარი ნადგურდება. ასწლოვანი ხეების წვერები გამხმარია. ერთ დროს მუხებს მავთულის ღობე შემოავლეს და ამით დაამთავრეს. ახლა ღობე ბევრგან ისეა გარღვეული, რომ პირუტყვი თავისუფლად დადის, ამას ვინღა ჩივის, მუხების ქვეშ მწვანე მოლი ისეა დანაგვიანებული, რომ იქ შესვლა არავის არ მოუნდება.

[illegible]

[illegible] ადიდებული მდინარე ჭალებს ისე დატბორავს, რომ ხმება ახლადამონაყარი მცენარეები, ისპობა ნადირ-ფრინველი. დახმარება ზემდგომი ორგანოებისაგან ის იქნება, რომ მდინარე კაბლის ალაზანთან შეერთების ადგილას, მარცხენა ნაპირას სამი კილომეტრის სიგრძეზე ბეტონის ჯებირი გაკეთდეს, რომ აღარ დაიტბოროს ალაზნისპირა 3000 ჰექტარზე მეტი ტყე.

სიღნაღელებს ალაზნის ჭალებში ყველაფერი რიგზე როდი აქვთ. 1960 წლის შემდეგ ასობით ჰექტარით შემცირდა ჭალის ფართობი. გაშენებით კი აშენებენ ტყეებს, მაგრამ არა იმ ჯიშებით, რომლებიც უფრო გავრცელებულია ჭალაში. სიღნაღის სატყეო მეურნეობის დირექტორი ც. მაჭარაშვილი ამ საშვილიშვილო საქმით უნდა დაინტერესდეს.

კახეთის რეგიონის ყველა სოფლის ხელმძღვანელს, ყველა მშრომელს, რომელთაც საქმე აქვთ ალაზნის ველთან, მდინარე ალაზანთან და ჭალებთან, მოვუწოდებთ გამოიჩინონ გონიერება, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ალაზანი ისევ დიდად მოიხსენებოდეს. მაშინ ბუნებაც ისევ აღორძინდება და ადამიანის სიცოცხლესაც სტიქიური მოვლენები აღარ დაემუქრება.

ვახტანგ გოზალიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

◆



სურათებზე: ჭიაურში, მუხებთან თევზის სატბორე მოაწყეს და მას შესწირეს მრავალწლოვანი ხეები (ზევით), მუხები ზეზეურად კვდებიან და ეს პროცესი გუშინ თუ გუშინწინ არ დაწყებულა. ადრე ჭიაურელთა დასვენების ადგილი უპატრონობით გავერანდა (ქვევით).

თამაზ მახათაძის ფოტო.

სიტყვა პარტიის ეროვნულ პლატფორმაზე

ეს, რაც ანგარიშგასაწევია

დღეს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია სკკპ ეროვნული პლატფორმის პროექტი. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ამ საკითხების გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული გარდაქმნის ბედი საერთოდ.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ პროექტთან დაკავშირებით მოწყობილი საზოგადოებრიობის გამოკითხვის ზოგიერთი შედეგი.

გამოკითხულთა 54 პროცენტმა განაცხადა, რომ არსებითად იწონებს პროექტს, მაგრამ მხარს მხოლოდ გარკვეული კორექტივების შეტანის შემდეგ დაუჭერს; პროექტს უყოყმანოდ უჭერს მხარს 17 პროცენტი, ხოლო 8 პროცენტი უვარგისად მიიჩნევს. დანარჩენმა შეფასებისგან თავი შეიკავა.

გამოკითხულთა 25 პროცენტმა პროექტის განხორციელება ეროვნული საკითხებისა და პრობლემების მოგვარების გარანტიად მიიჩნია, 62 პროცენტმა კი ჩათვალა, რომ ამ პროექტის განხორციელება გამწვავებულ ეროვნულ ურთიერთობებსა და პრობლემებს ვერ გადაწყვეტს.

პროექტის მიმართ გამოთქმულია მთელი რიგი კონკრეტული შენიშვნები, რომელთა დაჯგუფება და ანალიზი შემდეგ სურათს გვაძლევს.

ბუნდოვანების მაგალითი. პროექტში ვკითხულობთ: „ამჟამად ისმება საკითხი შევიმუშაოთ და ხელი მოვაწეროთ ახალ საკავშირო ხელშეკრულებას, ნაცვლად სსრ კავშირის შექმნის შესახებ 1922 წლის ხელშეკრულებისა“. ამ დებულებაში თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ იქვე აღნიშნულია: რაც შეეხება ახალ ხელშეკრულებას, თვით საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუცია წარმოადგენს სახელშეკრულებო დოკუმენტს, რადგან აქ ფიქსირებულია კავშირისა და მისი შემადგენელი რესპუბლიკების ძირითადი უფლებები და ურთიერთვალდებულებანი“. ამ დებულების წაკითხვის შემდეგ გაუგებარი ხდება, უნდა დაიდოს პროექტის მიხედვით ახალი ხელშეკრულება თუ არა.

ფორმალურობის მაგალითი. პროექტში წერია: „თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი მოქალაქეობა, რომელიც ვრცელდება ყველა მის მცხოვრებზე“. რესპუბლიკაში ცხოვრება არ უნდა იყოს საკმარისი მოქალაქის სტატუსის მისაღებად. უნდა არსებობდეს რაღაც პირობა, რის გამოც და რის საფუძველზეც ადამიანი ასეთ სტატუსს მიიღებს. ხოლო, თუ ჩვენ ყველას ავტომატურად ჩამოვურიგებთ მოქალაქის სტატუსს, ეს იქნება სრულიად ფორმალური აქცია, რაც, ბუნებრივია, არავითარ შედეგს არ მოგვცემს.

შინაგანი წინააღმდეგობის მაგალითი. პროექტში გვთავაზობენ: „მოკავშირე რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს მიწის, მისი წიაღის, ტყის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ფლობისა და განკარგვის უფლება თავის ტერიტორიაზე“. შესანიშნავი ფორმულირებაა, მაგრამ იქვე ნათქვამია: „ამავე დროს, სსრ კავშირს უნდა დაუმკვიდრდეს ის უფლება, რომ განსაზღვროს მათი გამოყენების საერთო-საკავშირო საფუძვლები, მათ შორის საერთო-სახელმწიფო სარესპუბლიკათაშორისო და ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით“.

გარეგნულად თითქოს შესანიშნავია დებულება—„უზრუნველვყოთ ყველა უფლება და პირობები იმ ხალხთა ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისათვის, კულტურისა და ენის განვითარებისათვის, რომლებიც მათი ეროვნულ-ტერიტორიულ ფორმირებათა ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, ან არა აქვთ ასეთი საბჭოთა კავშირში“. თქმა არ უნდა, რომ ვისაც კავშირში არა აქვს საკუთარი ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირება, ხელი უნდა შევუწყოთ და დავეხმაროთ, მაგრამ ვისაც აქვს საკუთარი ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირება, მაგრამ ცხოვრობს მის ფარგლებს გარეთ, ე. ი. რომელიღაც მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მისი კულტურის, ტრადიციისა და ენის განვითარებას რა განსაკუთრებული ხელისშეწყობა სჭირდება, ან როგორ შეიძლება ასეთი ხელისშეწყობა იმ რესპუბლიკისათვის გარკვეული ზიანის მიუყენებლად, რომლის ტერიტორიაზეც ეს ხალხი ცხოვრობს?

ასეთია საზოგადოებრივი გამოკითხვის ზოგიერთი შედეგი, რასაც, ჩვენი აზრით, ანგარიში უნდა გავუწიოთ პროექტის გადამუშავების დროს.

ვალერი კვარაცხელია,
საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მსოფლიო კონგრესზე შეერთებულ შტატებში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ხარაძე მონაწილეობდა მაღალტემპერატურული გამტარებლების საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონგრესში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა. კალიფორნიის უნივერსიტეტში შეიკრიბნენ 30 ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები, რათა განეხილათ ამ აქტუალურ დარგში კვლევის შედეგები. ქართველი მეცნიერები — მაღალტემპერატურულ ზეგამტართა პრობლემის სახელმწიფო პროგრამის მონაწილენი ორი წელია სწავლობენ მათ ფუნდამენტურ თვისებებს. „საუკუნის აღმოჩენა“, მიაჩნიათ მკვლევარებს, დიდ პერსპექტივებს გვპირდება ტექნიკის დარგში. ამიტომ უაღრესად საჭიროა დავადგინოთ ამ მოვლენის კანონზომიერებანი, რათა განვსაზღვროთ მისი მექანიზმი. კონგრესზე მეცნიერთა შეხვედრა ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა შორის სამეცნიერო კონტაქტების გაფართოებასა და განმტკიცებას.

უცხოეთში

საქდესის [illegible]
14 სექტემბერი

◆ აშშ

ბ. ელცინის შეხვედრები ვაშინგტონში

ვაშინგტონი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრი ბ. ნ. ელცინი, რომელიც არაოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში, თეთრ სახლში ესაუბრა პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების დარგში ბ. სკოუკროფტს. ამ შეხვედრის დროს ბ. სკოუკროფტის კაბინეტში შევიდა პრეზიდენტი ჯ. ბუში.

თეთრი სახლის ოფიციალური ცნობის თანახმად, ჯ. ბუშისა და ბ. ნ. ელცინის 15-წუთიანი საუბრის დროს შეეხნენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას. „პრეზიდენტმა, — ნათქვამია ამ ცნობაში, — გამოთქვა თავისი აზრი, რომ საერთო ორმხრივი ურთიერთობა კარგ მდგომარეობაშია. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ყურადღება მიაპყრო მის უაღრესად პოზიტიურ ურთიერთობას გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან, და დაადასტურა, რომ მხარს უჭერს გარდაქმნას. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკელი ერი იზიარებს მის იმედებს, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეფორმები წარმატებით დაგვირგვინდება.

ბ. ნ. ელცინი შეხვდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯ. ბეიკერს.

მსოფლიოს დედაქალაქები

მონღოლეთი. სუხე-ბატორის მოედანი ულან-ბატორში.
საქდესის ფოტო.

⊙ გდრ-უნგრეთი

საპროტესტო ნოტა

ბერლინი. უნგრეთის მთავრობის გადაწყვეტილების გამო, რომელმაც შესაძლებლობა მისცა გდრ-ის მოქალაქეებს გაემგზავრონ მესამე ქვეყნებში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს ნაბიჯი ვნებს საერთაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებებს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძირეულ ინტერესებს. შექმნილი სიტუაციისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება უნგრეთის მხარეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რამდენჯერმე შეიტანა კონკრეტული და კონსტრუქციული წინადადებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა წამოჭრილი პრობლემის შეთანხმებულ გადაწყვეტას. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ასევე დროულად და დაწვრილებით მიაწოდეს ინფორმაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მიღწეული მორიგების შესახებ, რომლის დადების შემდეგაც გდრ-ში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში მყოფმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა ნებაყოფლობით დატოვეს წარმომადგენლობის ტერიტორია და შინ დაბრუნდნენ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აზრით, ასეთივე გადაწყვეტილების მიღება შეიძლებოდა უნგრეთში მყოფი გდრ-ის მოქალაქეების მიმართ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მოელის რომ უნგრეთი დაუყოვნებლივ გააუქმებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო საზღვარზე უვიზო მიმოსვლის შეთანხმების ცალკეული ნაწილების მოქმედების ცალმხრივი შეჩერების შესახებ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ამავე დროს ადასტურებს თავის მისწრაფებას კვლავაც განავითაროს მეგობრული ურთიერთობა უნგრეთთან.

ბუდაპეშტი. შეეხო რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კერძოდ, ადნ-ის სააგენტოს მწვავე კრიტიკას უნგრეთის პოზიციის მიმართ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებთან დაკავშირებით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მას უწოდა „ყოვლად მიუღებელი და შეურაცხმყოფი“. ეს ეხება უნგრეთისათვის იმის დაბრალებას, თქვა დ. ჰორნმა უნგრეთის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში, რომ ჩვენ პირი შევკარით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და ვითომ რაღაც კომპენსაციას მივიღებთ იმის სანაცვლოდ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს ნებას ვრთავთ დასავლეთში გაემგზავრონ.

კითხვაზე, თუ რამდენ ხანს იქნება ძალაში უნგრეთის ხელისუფალთა განკარგულება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის მესამე ქვეყნებში გამგზავრების შესაძლებლობის მინიჭების შესახებ, დ. ჰორნმა უპასუხა: ეს ჯერ ჩვენც არ ვიცით. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა, რომლებსაც არ სურთ სამშობლოში დაბრუნება დატოვონ უნგრეთი, ჩვენი ქვეყანა ვეღარ შეურიგდება ასეთი უაღრესად ძნელი სიტუაციის გაგრძელებას.

● პოლონეთი

მოწოდება პარტიის წევრებისადმი

ვარშავა. საჭიროა დავიწყოთ პოლონეთის მემარცხენე ძალების მძლავრი პარტიის შექმნა, რომელსაც ექნება რადიკალურად გაფართოებული საზოგადოებრივი ბაზა. ასეთი მოწოდებით მიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრებსა და მომხრეებს ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. რაკოვსკიმ.

პოლონეთის ტელევიზიით გამოსვლისას, მან აღნიშნა, რომ პარტიის ყოფილ როლს ვეღარ დავაბრუნებთ. პარტია წლების მანძილზე სუსტდებოდა, ეპყრა რა ხელთ ხელისუფლების ბერკეტები. ამჟამად იგი თავიდან იშორებს ბევრ ბალასტს, და მის წინაშე ისახება ისტორიული შანსი განამტკიცოს თავისი პოლიტიკური ცხოველუნარიანობა და გავლენა.

მ. რაკოვსკიმ თქვა, რომ პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. მაზოვეცკის საპროგრამო გამოსვლაში წარმოდგენილი მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი პარტიას სწორად მიაჩნია. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა, მისი თქმით, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრთა შორის წუხილის, გულგატეხილობის, ხვალინდელი დღისადმი უიმედობის გრძნობა გამოიწვია. ამ განწყობილებას გამოხატავენ აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებში. გვეკითხებიან: რატომ დათმეთ ყოველივე ასე იოლად და სწრაფად?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული შეთანხმების, რეფორმებისა და პოლიტიკური ურთიერთობის დემოკრატიზაციის პოლიტიკა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ინიციატივაა. ეს პოლიტიკა სარგებლობდა და ახლაც სარგებლობს პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით, გამოხატავს საზოგადოების მისწრაფებას. იგი მოწმობს, რომ პარტიას შესწევს უნარი ეღიარებინა თავისი შეცდომები, უარი ეთქვა ხელისუფლების მონოპოლიაზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელი აიღოს რესპუბლიკის მიმართ მტრულ პოლიტიკაზე, მხარი დაუჭიროს ნიკარაგუაში საარჩევნო პროცესს და ხელი შეუწყოს კონტრრევოლუციონერთა დემობილიზაციას. პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია, თქვა მან, არ ამჟღავნებს, რომ აპირებს იმ სამშვიდობო მორიგებათა მხარდაჭერას, ცენტრალური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტებმა რომ მიაღწიეს ჰონდურასში, და განაგრძობს აგრესიულ პოლიტიკას ნიკარაგუის მიმართ.

ჰავანა. სალვადორის არმიის რჩეულმა ბატალიონებმა ისარგებლეს ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მიერ საბრძოლო მოქმედებების ცალმხრივი შეწყვეტით და შეიჭრნენ მორასანისა და ჩალატენანგოს დეპარტამენტების ტერიტორიაზე, რომლებსაც კონტროლს უწევენ პარტიზანები.

ლუანდა. მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარის, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშის რეზიდენციაში გაიმართა ცერემონია სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტის სემ ნუიომას სამშობლოში დაბრუნების გამო. იგი დღეს მოფრინავს სამშობლოში თითქმის 30 წლის განდევნის შემდეგ.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

მედიცინა

რა სიახლეა დიაბეტის მკურნალობაში?

ეს საკითხი აინტერესებდათ ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში გახსნილი სპეციალიზებული საერთაშორისო გამოფენის — „დიაბეტი-89"-ის" დასათვალიერებლად მოვიდნენ.

ექსპოზიციის გახსნის წინ ინტერვიუ ვთხოვეთ გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს **რამაზ ყურაშვილს.**

— რას წარმოადგენს გამოფენა, რა მიზანს ემსახურება იგი, რომელი ქვეყნის სპეციალისტები მონაწილეობენ ექსპოზიციაში?

— ეს საერთაშორისო გამოფენა, რომელიც პირველად მოეწყო საბჭოთა კავშირში, დიდი ხანია ისახებოდა. მისი ძირითადი მიზანია: გავაცნოთ სამედიცინო საზოგადოებას, სპეციალისტებს, ავადმყოფებს ფართო ფენას დიაბეტოლოგიის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში არსებული მიღწევები მსოფლიო მასშტაბით. გამოფენის სტენდებზე თავიანთ ახალ სამედიცინო პრეპარატებსა და სამკურნალო აპარატურას, აგრეთვე დიაბეტოლოგიურ პროდუქტებს წარმოგვიდგენს მსოფლიოს თხუთმეტი ქვეყნის — ავსტრიის, დანიის, აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ნიდერლანდების, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოების სამოცამდე ფირმა. საბჭოთა კავშირიდან — მოსკოვის, ოდესის, კიევის სამედიცინო ცენტრები, ჩვენი რესპუბლიკიდან — თბილისის სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი.

მოგეხსენებათ, შაქრიანი დიაბეტი გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიურ დაავადებებთან ერთად მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სნეულებაა. იგი აზიანებს ადამიანის სასიცოცხლო ორგანოებს და იწვევს მის ადრეულ დაინვალიდებას.

შაქრიანი დიაბეტით მკურნალობის საქმეში დიდი გადატრიალება მოხდა მას შემდეგ, როცა აღმოაჩინეს ამ დაავადების გამომწვევი ძირითადი მიზეზი: ორგანიზმში ინსულინის — კუჭუკანა ჯირკვლის მიერ გამოყოფილი ჰორმონის აბსოლუტური ან ნაწილობრივი უკმარისობა. დაიწყო ინსულინის ერა, რომელიც მედიცინის მეცნიერების დიდ მიღწევად ითვლება. ინსულინისა და სხვა სამედიცინო პრეპარატების მეშვეობით დღესდღეობით შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში გარკვეული წარმატებებია მიღწეული. თუ ინსულინის ერამდე დიაბეტის დიაგნოზი ადამიანისათვის მომაკვდინებელი იყო და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირებულად მიიჩნეოდა, ამჟამად თუ ავადმყოფი დროულად იღებს სამკურნალო საშუალებებს — ინსულინსა თუ დიაბეტურ ტაბლეტებს, იცავს დიეტას, რეჟიმს, მაშინ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე ათეულ წელს აჭარბებს.

მაგრამ შაქრიანი დიაბეტი დღესდღეობით მაინც მძიმე დაავადებად ითვლება და ამდენად მთელ მსოფლიოში მისი მკურნალობის ახალი მეთოდების გამოსაკვლევად ფართო მუშაობა მიმდინარეობს.

დღევანდელი გამოფენა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ აქ წარმოდგენილია ის ახალი თანამედროვე აპარატურა, სამედიცინო მოწყობილობა, რომელიც ეხმარება მკურნალს სწრაფად მოახდინოს ავადმყოფობის დიაგნოსტიკა, დროულად განსაზღვროს ის ცვლილებები, რაც ორგანიზმში გამოიწვია ამ მძიმე დაავადებამ. წარმოდგენილია ბიოქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიის, იმუნოქიმიის, ელექტრონული მიკროსკოპის, ელექტროფიზიოლოგიური აპარატურა, აგრეთვე უახლესი სამკურნალო პრეპარატები, სამკურნალო ხელსაწყოები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე დიაბეტიანთათვის განკუთვნილ პროდუქტებს. საზღვარგარეთის ქვეყნებში უშვებენ მრავალი დასახელების დიაბეტურ პროდუქტს, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 80-100 დასახელების დიაბეტური პროდუქტია ცნობილი, მაშინ, როდესაც ჩვენში უშვებენ რამდენიმე დასახელების პროდუქტს და ისიც ძვირად ღირებულს.

— რას გვეტყვით წამლების შესახებ. ცნობილია, რომ ინსულინი ყველაზე საუკეთესო საშუალებაა დიაბეტის სამკურნალოდ. მაგრამ ბევრი მას გაურბის, იმის გამო, რომ ინექცია — ნემსით ორგანიზმში წამლის შეყვანა მუდმივი პროცესია, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ინსულინის ხარისხს, მისი დოზის სწორად დადგენას, აგრეთვე თვით ინექციისათვის მოსახერხებელ შპრიცს. ხომ არ მუშაობენ ინსულინის ტაბლეტების სახით მისაღებად.

— ინსულინის ხარისხზე და მისი დოზის სწორად განსაზღვრაზე ბევრად არის დამოკიდებული ავადმყოფის მდგომარეობა. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ჩვენი სამამულო წარმოების ინსულინი თავისი ხარისხით ბევრად ჩამორჩება საზღვარგარეთული ფირმების ნაწარმს. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ფირმა „ლილი" აწარმოებს 23-ნაირი ხარისხის ინსულინს, რომელთაგან თითოეული ისეა დამზადებული, რომ პაციენტის ინდივიდუალური მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

ჩვენმა მთავრობამ ინსულინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კონტრაქტი დადო ამერიკის შეერთებული შტატების ფირმასთან, რომელიც ბელორუსიაში ააშენებს ინსულინის ქარხანას. რაც შეეხება ამ პრეპარატის ტაბლეტების სახით გამოშვებას, ეს დიდი შვება იქნებოდა ავადმყოფებისათვის. ამჟამად მეცნიერები მუშაობენ ამ პრობლემის გადაწყვეტაზე. ამერიკელებმა უკვე მიიღეს ინსულინი ფხვნილის სახით, რომელსაც პულვერიზატორის საშუალებით შეაფრქვევენ ცხვირში. მაგრამ ეს ჯერჯერობით ექსპერიმენტის დონეზეა.

რაც შეეხება ინსულინის დოზირებას, იგი მკურნალზეა დამოკიდებული, ექიმმა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს ავადმყოფს, თუ რა სახის და რა დოზით მიიღოს ინსულინი. ეს კი ხელეწიფება მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტებს, რომელთა ნაკლებობასაც, სამწუხაროდ, განიცდის რესპუბლიკა.

ამ თემაზე გაგრძელდა საუბარი პრესკონფერენციაზე, რომელიც გამოფენის გახსნის დღეს შედგა, და რომელსაც რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებთან ერთად ესწრებოდნენ საზღვარგარეთული ფირმების წარმომადგენლები. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ანდრო ღლონტმა აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება მიექცევა დიაბეტოლოგიის დარგში მომუშავე ახალგაზრდა მედიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ამ მიზნით მათ საზღვარგარეთის ცნობილ კლინიკებში გაგზავნიან. ითქვა ისიც, რომ ჩვენთან დიაბეტოლოგიური ცენტრი არა გვაქვს, მაშინ, როცა ასეთი ცენტრები ყველა ქვეყანაში წარმატებით მუშაობს. დიაბეტის მკურნალობაში დიდი როლის შესრულება შეუძლია დიაბეტოლოგიური საზოგადოების შექმნას. ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება პრესკონფერენციაზე რესპუბლიკის მთავარმა ენდოკრინოლოგმა დავით მეტრეველმა. მან აღნიშნა, რომ ასეთი საზოგადოებები საზღვარგარეთ უკვე კარგა ხანია შექმნილია, და მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ დიაბეტის მკურნალობაში. დიაბეტოლოგიური საზოგადოება ამჟამად ჩვენშიც ყალიბდება და საჭიროა მის დაარსებას მხარი დაუჭირონ როგორც ჯანდაცვის ორგანოებმა, მკურნალებმა, აგრეთვე აქტიურობა გამოიჩინონ თვითონ ავადმყოფებმა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ამ ორი ათეული წლის წინათ პროფესორმა ვაჟა ივერიელმა საქართველოში ჩამოაყალიბა დიაბეტოლოგთა საზოგადოება, მაგრამ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში ჯერ ასეთი საზოგადოება არსად არ იყო, ჩვენს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ამ საზოგადოების დაარსების უფლება არ მისცეს.

გამოფენა „დიაბეტი-89", რომლის დევიზია ბრძოლა შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ, 17 სექტემბრამდე გასტანს. ამ ხნის განმავლობაში იმართება სამეცნიერო-ტექნიკური სიმპოზიუმი, საქმიანი მოლაპარაკებანი საზღვარგარეთელი ფირმების წარმომადგენლებთან. ყველაფერი გაკეთდება, რათა გაუმჯობესდეს დიაბეტის მკურნალობა.

ლარისა ხუბულური.

იუნესკოს ეგიდით

თბილისი შეასპინძლებს ხელოვნებათმცოდნეებს

20-25 სექტემბერს თბილისში გაიმართება მხატვრობის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის (აიკას) XXIII კონგრესი და 42-ე გენერალური ასამბლეა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის გამო „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრება აიკას ადმინისტრაციული საბჭოს წევრი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნოდარ ჯანბერიძე:

— მხატვრობის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის XXIII კონგრესისა და 42-ე გენერალური ანსამბლეის თბილისში გამართვა შარშან გადაწყდა — წინა კონგრესზე, რომელიც არგენტინაში მიმდინარეობდა. საგულისხმოა, რომ კონგრესი პირველად იმართება საბჭოთა კავშირში, თანაც თბილისში, რაც ქართული სახვითი ხელოვნების დიდი ავტორიტეტის კიდევ ერთ აღიარებას მოწმობს.

და აი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან უკვე ველოდებით სტუმრებს — თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნეებს. გვეწვევიან აიკას პრეზიდენტი ქალბატონი ბელჰაიკა როდრიგესი (ვენესუელა), გენერალური მდივანი — ლეონ დე ლა გრანვილი (საფრანგეთი), სახელგანთქმული ხელოვნებათმცოდნენი: ვირჯილ ჰემოკი (კანადა), ჟაკ ლენარდი (საფრანგეთი), რენე ბერუე (შვეიცარია), რიშარდ სტანისლავსკი (პოლონეთი) და სხვები. სტუმართა შორის იქნებიან სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ბ. უგაროვი, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ა. ვასნეცოვი, პირველი მდივანი ტ. სალახოვი, ხელოვნებათმცოდნეები — ვ. მანინი, ვ. პოლევოი, ვ. გარიანოვი, ა. იაკიმოვიჩი, ა. მოროზოვი და სხვები.

კონგრესის ძირითადი თემაა „საუკუნის მიწურული და ხელოვნების განვითარების შედეგები", თუმცა დისკუსიები მოეწყობა სხვა თემებზეც. სახელდობრ — „ტრადიციული ხელოვნება და ავანგარდი", „ხელოვნების კრიტერიუმისა და საზღვრების შესახებ", „XX საუკუნის ხელოვნების გზები სხვადასხვა რეგიონში".

კონგრესის მონაწილეთა სამუშაო გეგმაშია გამოფენების, ქართველ მხატვართა სახელოსნოების დათვალიერება, ერთი დღით ქუთაისში ჩასვლა და ბაგრატისა და გელათის მონახულება... სწორედ კონგრესის დღეებს დავამთხვიეთ (ამას იუნესკომაც მხარი დაუჭირა, რამეთუ აიკას კონგრესი იუნესკოს ეგიდით მიმდინარეობს) დიდი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის 100 წლისთავის იუბილე, რომელიც 22 სექტემბერს არის გათვალისწინებული თბილისის საოპერო თეატრში. იმავე დღეს ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება მხატვრის საიუბილეო გამოფენა.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საერთაშორისო კონგრესს, რადგან საშუალება გვეძლევა ფართო პროპაგანდა გავუწიოთ ქართულ სახვითს ხელოვნებას, მსოფლიოს სახელმოხვეჭილ მეცნიერებს (რომლებმაც არც ისე ბევრი იციან ჩვენს შესახებ) ვაჩვენოთ ყოველივე საუკეთესო და საამაყო.

აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონგრესი ფაქტობრივად მოსკოვიდან იწყება. იქ 17—19 სექტემბერს დაჰყოფენ მისი მონაწილენი, გაიმართება ადმინისტრაციული საბჭოს სხდომა, არის კულტურული პროგრამაც, ხოლო შემდეგ, „მთავარი ამბები", როგორც მოგახსენეთ, თბილისში გველოდება და ვეცდებით პირი არ შევირცხვინოთ.

რუსთაველის საზოგადოებაში

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება იუწყება, რომ ა. წ. 26 სექტემბერს, დილის 11 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

რუსთაველის საზოგადოების რეგიონულმა ორგანიზაციებმა დამფუძნებელ კონფერენციაზე რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან უნდა მოავლინონ ინვალიდთა ორ-ორი წარმომადგენელი.

მისამართი დაწვრილებითი ცნობებისათვის: 380086, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-2 კვარტალი, მე-7 კორპ. ბინა 29, ტელ: 39-20-13; 99-61-99; 37-13-94. (საქინფორმი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთხელ...

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეატრ-სტუდია „მოდინახესა" და ამერიკის შეერთებული შტატების რასინის მუსიკალური თეატრის წევრებმა საზღვარგარეთ — ბელგიასა და ჰოლანდიაში გასტროლების დროს გაიცნეს ერთმანეთი. და აი, ქართველ სტუდენტებს ამ დღეებში ესტუმრა რასინის თეატრი და ერთი სპექტაკლი მხოლოდ ერთ საღამოს წარმოადგინა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზის სცენაზე. სპექტაკლს „ქარიშხლიანი გადაკვეთა" ჰქვია. მუსიკის ავტორია ანრე პრევინი, დამდგმელი რეჟისორი და დირექტორი ნორმან მაქფიი. ეს იყო შესანიშნავი სანახაობა, რომელიც ბოლოს დამთავრდა ფოსტ-შოუთი. აქ, სხვათა შორის, „სულიკოც" იმღერეს ამერიკელმა მსახიობებმა. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს სტუმრების ხელოვნებას. („კომუნისტის" კორ).

სურათზე: სცენა სპექტაკლისა „ქარიშხლიანი გადაკვეთა".

ჯავარ ლომაძის ფოტო.

სპორტის ამბები

● **ფეხბურთი.** გასული ოთხშაბათი ევროპის საკლუბო ტურნირების დღე იყო. გაიმართა სამივე გათამაშების პირველი ეტაპის შეხვედრები. სასტარტო მატჩებში წარმატებით ითამაშეს საბჭოთა გუნდებმა. **ჩემპიონთა თასი:** „ლინფილდი" (ჩრდილოეთ ირლანდია) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — 1:2, **თასების მფლობელთა თასი:** „ტორპედო" (მოსკოვი) — „კორკ სიტი" (ირლანდია) 5:0, **უეფას თასი:** „დინამო" (კიევი) — მტკ (უნგრეთი) — 4:0, „ატლანტა" (იტალია) — „სპარტაკი" (მოსკოვი) — 0:0, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „გეტებორგი" (შვეცია) — 2:0, „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ნესტვედი" (დანია) — 3:1.

აქვე გაგაცნობთ პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტურის შედეგებს: „გურია" — ასკ „კარპატი" — 3:2, „ფახთაქორი" — „კოტაიკი" — 1:1, „კაირატი" — „ტორპედო" — 6:3, „გეოლოგი" — „ტავრია" — 1:4, „შინიკი" — „ნისტრუ" — 2:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „დაუგავა" — 2:1, „ფაკელი" — „კუზბასი" — 1:0, „როსტსელმაში" — ცსკა — 0:0. პირველობას ლიდერობს ცსკა, რომელმაც 31 მატჩში 47 ქულა მოაგროვა. 44 ქულით (30 თამაშიდან) მეორე ადგილზე არიან ლანჩხუთელი ფეხბურთელები, რომელთაც უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალური შანსი აქვთ.

● **რაგბი.** ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საინტერესო საერთაშორისო მატჩი: საქართველო — ზიმბაბვე. ქართული სპორტის ისტორიაში ჩვენმა სპორტსმენებმა პირველად ისპარეზეს ეროვნული ნაკრების ეგიდით. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, თამაშს 15 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. მასპინძლებმა აღმავლობით ითამაშეს და სოლიდური უპირატესობით დაამარცხეს მეტოქე — 16:3. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნუგზარ ძაგნიძე, რომელმაც თავის გუნდს 12 ქულა მოუტანა.

ხულიგნებთან საბრძოლველად

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ფეხბურთის ხულიგნებთან ბრძოლისათვის პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფის შექმნის შესახებ.

ახალი სამსახური, რომელიც ასე მოინათლა — „საფეხბურთო უშიშროების ეროვნული ქვედანაყოფი", მუშაობას 1 ოქტომბერს შეუდგება. როგორც ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, მისი მთავარი ამოცანა იქნება ფეხბურთის ხულიგნების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია მიესალმა ამ გადაწყვეტილებას, რადგან ეს აქცია საფეხბურთო ხულიგნობის პროცესებისადმი მთავრობის სერიოზული დამოკიდებულების გამოვლინებად მიიჩნია.

ყოველივე საუკეთესო—ბავშვებს

საიმედოდ, სამომავლოდ

ვაკეში, „მრგვალ ბაღთან", ყურადღებას იპყრობს ახალი ორიგინალური შენობა. აქ კვლავ დაიდო ბინა თბილისის 129-ე ბაგა-ბაღმა. ადრე აქვე იყო წინამორბედი ორსართულიანი შენობა, რომელიც 1936 წელს ვაკის უბნის საზოგადოებას საკუთარი სახსრებით აუგია. მერე და მერე გაიზარდა უბანი, შენობა მსურველთ ვეღარ იტევდა. საჭირო იყო შენობის გაფართოება.

ბაგა-ბაღის გამგე ლენა ქარაზანაშვილი 1980 წლიდან მუშაობს გამგედ. მის მაგიდაზე დევს ხუთწლიანი მიწერ-მოწერით სავსე საქაღალდე: თხოვნა-საჩივრები შენობის გაფართოებას ეხებოდა. 1988 წელს დაწყებულა მშენებლობა და ინჟმშენის №1 სამმართველოს კოლექტივის და მისი უფროსის დ. მხეცაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ოთხსართულნახევრიანი შენობა 8 თვეში წლეულს, თებერვალში დროულად და ხარისხიანად დასრულებულა.

ხუთ წელიწადს იყო ბაღი დაკეტილი, უჭირდათ მშობლებს, უჭირდა ბაღის კოლექტივსაც.

მარტო შენობის ფასადი როდია შთამბეჭდავი. ახლა ინტერიერი უნდა ნახოთ: შუაში „თონეა", ირგვლივ ფართო, ნათელი ოთახებია განლაგებული, რომლებშიც საყრდენი სვეტები ქართული დედაბოძის შთაბეჭდილებას ქმნის. ახლა რა ავეჯით გაუწყვიათ?! მთელი ბოლო სართული ღია ვერანდებს უჭირავს, სადაც პატარების გასასხარად უამრავი საქანელა და გასართობი მოუწყვიათ. ბაღს აქვს აგრეთვე მუსიკისა და ფიზკულტურის დარბაზი. არქიტექტორებმა მაქსიმალურად „აითვისეს" არსებული მცირე ტერიტორია. აღსანიშნავია შენობის კარგი ინსოლაცია და ისიც, რომ ოთახები კარგად ნიავდება.

შენობის „ფიქვისმაგვარი" პროექტის შექმნაზე მის ავტორებს არქიტექტორებს გ. კარსანიძეს (ხელმძღვანელი), გ. ჯაფარიძეს და ნ. შატბერაშვილს მართლაც დიდი მონდინებით, სიყვარულით უმუშავიათ. აკი ამიტომაც ასე მოუხარიათ ყმაწვილებს.

ბაგა-ბაღში ექვსი ჯგუფია. 5 ბაღის, ერთიც ბაგის ასაკის ბავშვებისთვისაა. მრავალ სიკეთესთან ერთად აქვთ პრობლემებიც: კონტინგენტი ძალზე მრავალრიცხოვანია, ჯგუფებში 25-ის ნაცვლად 30-40 ბავშვია. ამიტომ მხოლოდ ოთხი ჯგუფი იძინებს. ამაზე წუხან მშობლები. ჯერჯერობით აკლიათ სათამაშოებიც. 75 კვადრატული მეტრის ნახევარსარდაფში შესაძლებელია საცურაო აუზის მოწყობა, სიხარული ცალკე იყოს, როგორ გაკაჟდებოდნენ პატარები.

ბაგა-ბაღს შეფმა — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის (მმართველი მ. ცისკარიშვილი) კოლექტივმა შეუძინა მეთოდიკური ლიტერატურა, დაუდგა შიდა ტელეფონები, რამაც საგრძნობლად გაუადვილა მუშაობა ბაღის თანამშრომლებს. გამგე იმედოვნებს, რომ არსებული პრობლემის გადაჭრაში სხვა შეფებიც: ტყავსაგალანტერეო ფაბრიკა, სამთო გეოლოგიის საძიებო სამმართველო, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური ექსპედიცია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლმშენი" დაეხმარებიან.

გამოცდილი აღმზრდელების ვ. გურგენიძის, ლ. ფარულავას, ნ. გუგუშვილის, ლ. დედაბრიშვილის და სხვათა გვერდით მონდომებით ირჯებიან ახალბედები მ. ასანიშვილი, მ. ანანიაშვილი, დ. გოჩალეიშვილი და სხვები. მათ დიდი მისია აკისრიათ: რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებას მხოლოდ სულიერად და ფიზიკურად სალი, მაღალი ინტელექტის მქონე თავისუფალი პიროვნებები შეძლებენ. ყმაწვილმა თავიდანვე უნდა შეისისხლხორცოს, რას ნიშნავს მისთვის სამშობლო, გამოიმუშაოს პასუხისმგებლობის გრძნობა. ყველაფერი ეს ხომ ოჯახთან, სკოლასთან ერთად საბავშვო ბაგა-ბაღშიც იღებს სათავეს.

ბაგა-ბაღში დღის ბოლოს მივედი. 4-5-წლიანთა ჯგუფებში სამნი შემორჩენილიყვნენ. ჩვენი შესვლა არც გაუგიათ. აღმზრდელთან ერთად მაგიდაზე რაღაცას ჩაჰკირკიტებდნენ. როცა შეგვნიშნეს, წამოდგნენ, მოგვესალმნენ. მაგიდაზე „კუბიკებით" ნაგები სვეტი დარჩა.

რა გააკეთეთ-მეთქი, — ვკითხე.

ციხე-სიმაგრე ავაშენეთო, ერთხმად მომიგეს თვალებბრიალა ნატო შუშანიამ, გიორგი სანებლიძემ და გიორგი კაიკაციშვილმა.

ჯერჯერობით სიმბოლურად აგებენ. მერე თვითონ იქნებიან სამშობლოს დედაბურჯები. მათ ხომ აქ სამომავლოდ, საიმედოდ ზრდიან.

ბელა დურგლიშვილი.

* * *



სურათებზე: 129-ე ბაგა-ბაღის გამგე ლენა ქარაზანაშვილი აღსაზრდელებთან; ბაგა-ბაღის ახალი შენობა.

ვარლამ ბენზიურის ფოტო.

ინთება რამპის ჩირაღდნები

ეზიარებიან ეროვნულ ქმნილებებს

ხვალ, 16 სექტემბერს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მორიგ სეზონს ხსნის. თეატრის შემოქმედებითს გეგმებზე „კომუნისტის" კორესპონდენტს რუსუდან მუხიგულაშვილს ესაუბრება სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გურამ მელივა.

— ბატონო გურამ, როგორც აფიშა გვამცნობს, თეატრი ტრადიციას არც ამჯერად ღალატობს და ეროვნული მუსიკალური კულტურის მარგალიტით ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით" ხსნის ახალ სეზონს. მეორე დღესვე მაყურებელს ელის ახალი ქართული ბალეტის „ამორძალების" პრემიერა, მაშასადამე, 17 სექტემბერი ახალი ქართული ბალეტის დაბადების დღეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ ხდება...

— ჩვენი ცნობილი დირიჟორის ჯანსუღ კახიძის ვაჟის ახალგაზრდა კომპოზიტორის ვახტანგ კახიძის ბალეტი „ამორძალები" შეიქმნა ტიციან ტაბიძის ამავე სახელწოდების, განუხორციელებელი კინოსცენარის მოტივების მიხედვით. მის დადგმაზე იმუშავეს დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ, ქორეოგრაფმა გოგი ალექსიძემ, მხატვარმა კოკა იგნატოვმა და მე, როგორც დამდგმელმა რეჟისორმა და ლიბრეტოს ავტორმა. სპექტაკლში მონაწილეობენ საბალეტო დასის საუკეთესო ძალები: ირმა ნიორაძე, ელა აბესაძე, ლია ბახტაძე, თამაზ ვაშაკიძე, ვალერი მაზეპჩიკი, ნუკრი მაღალაშვილი, ვლადიმერ ჯულუხაძე... ბალეტის ღირსება მაყურებელმა განსაჯოს.

მზადა გვაქვს და მალე მაყურებელს ვუჩვენებთ მეორე პრემიერას — ს. პროკოფიევის ოპერის „ნიშნობა მონასტერში". ეს დადგმა (დამდგმელები: ჯ. კახიძე, გ. მელივა, გ. ალექსიძე, უ. იმერლიშვილი) განხორციელდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. დუისბურგის ფესტივალის დირექციის დაკვეთით. როგორც ცნობილია, გაისად სექტემბერში დუისბურგში იმართება ს. პროკოფიევის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალი და საამისოდ მსოფლიოს მრავალი პრესტიჟული თეატრი ემზადება. მათივე დაკვეთით წლეულს დავდგამთ კომპოზიტორის მეორე ნაწარმოებს „ცეცხლოვან ანგელოზს".

— თუ თეატრის ბოლო ხანების შემოქმედებითს გზას გადავავლებთ თვალს, აშკარად გამოიკვეთება ძიებათა წლები, კლასიკური რეპერტუარისადმი განსაკუთრებული ყურადღება...

— დიახ, თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება ბოლო შვიდი წლის მანძილზე შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს. პირველი ეტაპი ექსპერიმენტის ხასიათს ატარებდა („იყო მერვესა წელსა", „...და არს მუსიკა"); მეორე ეტაპი მოიცავდა კლასიკური რეპერტუარის განახლებას. და აი, წლეულს მთელი ყურადღება ეროვნულ ნაწარმოებებზე გადაგვაქვს. დეკემბრის დასასრულს მაყურებელს ვუჩვენებთ ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას", რომელსაც თვით კომპოზიტორის დანატოვარი სურვილის შესაბამისად დგამს მინსკის საოპერო თეატრის მთავარი რეჟისორი ა. შტეინი, მხატვარია მ. მალაზონია. სპექტაკლს უდირიჟორებს ჩვენი მხცოვანი მაესტრო ოდისეი დიმიტრიადი. ამ სეზონშივე აღდგება ა. მაჭავარიანის ოპერა „ჰამლეტი", ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე". ვფიქრობთ, ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებისა" და ფ. ღლონტის „ივერიელების" ხორცშესხმას. ქართული კლასიკური ოპერის საღამოზე კი შესრულდება აქტები მ. ბალანჩივაძის, ვ. დოლიძისა და დ. არაყიშვილის ოპერებიდან.

— მკითხველებმა უკვე იციან, რომ თეატრის მოცეკვავეთა ერთი ჯგუფი წარმატებით გამოვიდა საფრანგეთში ქ. მონპელიეს საერთაშორისო ფესტივალზე. რას იტყვით ქორეოგრაფიის სიახლეებზე და საერთოდ, გასტროლებსა და გასტროლიორების შესახებ?

— ეს დასი, რომელიც 20 მოცეკვავისაგან არის დაკომპლექტებული, დამატებითი დატვირთვით მუშაობს. ასე შეიქმნა ერთაქტიანი საბალეტო წარმოდგენა, რომელიც ჩვენს მაყურებელს ჯერ არ უნახავს, საფრანგეთში კი წარმატება ხვდა. ამ აღიარებამ მას გზა გაუხსნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დიდი საბალეტო სცენისაკენ. 15 ოქტომბერს ჯგუფი თვენახევრით საგასტროლოდ გაემგზავრება იტალიასა და ესპანეთში. გარდა იმისა, რომ დასი პროპაგანდას უწევს ქართულ საბალეტო ხელოვნებას, მას მოგებული თანხის ნაწილი რესპუბლიკაში შემოაქვს. გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ თბილისელები უთუოდ ნახავენ მათ სპექტაკლს. თბილისში დარჩენილი საბალეტო დასი კი ჩვეულებრივად გამართავს სპექტაკლებს.

ოქტომბერში თბილისს ეწვევა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი ო. ვინოგრადოვის ხელმძღვანელობით. მათ რეპერტუარში აქვთ ა. მაჭავარიანის „ვეფხისტყაოსანი". მიმდინარეობს მოლაპარაკება საფრანგეთისა და ამერიკის საბალეტო დასებთან.

დაბოლოს, ერთი სიახლე: წლეულს მაყურებელს ახალ საბონენტო სისტემას ვთავაზობთ. გავითვალისწინეთ რა საზოგადოებრიობის გაზრდილი ინტერესი ეროვნული რეპერტუარისადმი, გაიყიდება ორგვარი აბონემენტი ხუთ-ხუთი სპექტაკლით. ერთი ითვალისწინებს ხუთივე ქართული ნაწარმოების ხილვას, მეორე კი მაყურებელს საშუალებას მისცემს დაესწროს ერთ პრემიერას, ერთ სპექტაკლს გასტროლიორის მონაწილეობით და სამს მიმდინარე რეპერტუარიდან. იმედია, მაყურებელი არ დარჩება უკმაყოფილო. თეატრში საიმედო ახალგაზრდობა მოვიდა, შრომისუნარიანი, პროფესიული ჩვევებით. კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს მაღალი დონის სპექტაკლებით გაახაროს მაყურებელი. სხვანაირად წარმოუდგენელია, ამ გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში დადგა შრომითი თავდადების დრო, თეატრიც თავის მხრივ ეცდება გამოიჩინოს სიმშვიდე და ერთგულებით ემსახუროს ერს.



ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-15, ზოგან 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 20-25, მთაში 12-17, მაღალმთიანეთში 5-10 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, ტემპერატურა — ბარში 22-27, მთაში 16-21, მაღალმთიანეთში 10-15 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით ხანმოკლე წვიმა, ტემპერატურა — 25-27 გრადუსი.

**რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.**

საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის ბიუროს წევრი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე

**ჯემალ სარდიონის ძე
უნგიაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია—პარასკევი, 15 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა: 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მხატვრული ფილმი „ვიტია გლუშაკოვი — აპაჩების მეგობარი". 15.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამოირჩიე". 16.45 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „შავი და თეთრი მაგია". 18.00 — მოსწავლეთათვის. „აბა, დედილი!". 18.40 — განცხადებები. 18.45 — ჯადოსნური ეკრანი. 19.00 — „საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის". ქართული ჩაის პრობლემები. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ფართოვდება საქართველოს საერთაშორისო კონტაქტები". 21.05 — მუსიკალური გადაცემა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — პრემიერა სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმისა „რვაფეხა-3". III სერია. 23.45 — კონცერტი. „მღერის ლამარა ჭყონია".

მეორე პროგრამა: 16.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პარატაქსისი". 16.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მხედარი, რომელსაც ელიან". I და II სერია. 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ბიკოვსკის საზამთროები" და „მინის სითბო". 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ბეჰემოთი ჰუგო".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 10.35 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა-3". II და III სერია. 12.40 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 16.30 — მხატვრული ტელეფილმი „მხედარი, რომელსაც ელიან". I და II სერია. 18.45 — „გამარჯობა, კოსტა-რიკავ!". ეროვნული დღესასწაულის გამო. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — საბავშვო იუმორისტული ჟურნალი „ერალაში". 20.15 — კონცერტი. 20.35 — პოეზიის წუთები. 20.45 — „თქვენ გეპატიჟებათ ვ. ა. ჩერნუშენკო". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „რვაფეხა-3". III სერია. 23.45 — „ეს იყო...". 0.05 — „თვალსაზრისი".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ქალაქი და ბუნება". 9.35 და 10.35 — ისტორია. V კლასი. 10.05 და 11.05 — ინგლისური ენა. 11.35 და 12.40 — ლიტერატურა. VI კლასი. 12.05 — ახალი ამბები. 13.10— დოკუმენტური ტელეფილმი „მიხაილო კოციუბინსკი". 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — რიტმული ტანვარჯიში. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი „ანა პავლოვა". V სერია. 19.10 — საესტრადო პროგრამა. 19.25 — ჰოკეი. მოსკოვის „სპარტაკი" — ამერიკის შეერთებული შტატების „ვაშინგტონ კეპიტელა". შესვენებისას — 20.50 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 22.40 — ლ. პანდურო. „გაქცევა". ტელესპექტაკლი. 0.50 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07197 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14